

ბალანსის აღდგენა

ყურანის უფლებამოსილება და სუნას სტატუსი

REVIVING THE BALANCE

The Authority of the *Qur'an* and the
Status of the *Sunnah*

TAHA JABIR ALALWANI



იასი-ს წიგნების სერია

გალანსის აღდგენა
ყურანის უფლებამოსილება
და სუნას სტატუსი

ტაჰა ჯაბირ ალ-ალვანი
შემოკლებულია ვანდა კრაუსის მიერ



International Institute
of Islamic Thought



გალანტის აღდგენა: უცლებამოსილება
და სუნას სტატუსი (Georgian)
ტაპა ჯაბირ ალ-ალვანი
იასი-ს წიგნების ადაპტირებული სერია

© ისლამური აზროვნების საერთაშორისო ინსტიტუტი (იასი),
ცოდნის ინტეგრაციის ინსტიტუტი.
1444ჰ/2022

Paperback ISBN: 978-9941-33-283-8

Reviving the Balance:

The Authority of the Qur'an and the Status of the Sunnah (Georgian)

Taha Jaber Alalwani

IIIT Books-In-Brief Series

© The International Institute of Islamic Thought, (IIIT)

1429AH/2008CE

Paperback ISBN 978-1-56564-984-2

IIIT

P.O. Box 669,

Herndon, VA, 20172, USA

www.iiit.org

ინგლისურიდან თარგმნა: შპს თარჯიმანი

თარგმანის თეოლოგიური რედაქტორი: ტარიელ ნაკაძე, თამაზ მგელაძე
ფილოლოგიური რედაქტორი: ია ძირკვაძე

ცოდნის ინტეგრაციის ინსტიტუტი

საქართველო, თბილისი ც.დადიანი №7 ბიზნეს და სავაჭრო ცენტრი ქარ-
ვასლა A-508

ikiacademy.org

პუბლიკაცია მომზადებულია გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-
სტიტუტთან თანამშრომლობით.

საავტორო უფლება დაცულია. სავალდებულო გამონაკლისებისა და შესაბა-
მისი კოლექტიური ლიცენზირების შესახებ შეთანხმების დებულებებიდნ
გამომდინარე, არცერთი ნაწილის გამრავლება არ შეიძლება მოხდეს გამომ-
ცემლებით წერილობითი ნებართვის გარეშე.

წინამდებარე ნაშრომში გამოხატული ხედვები და აზრები ეკუთვნის ავ-
ტორს და შეიძლება არ ემთხვეოდეს გამომცემლის მოსაზრებებს.

გამომცემლობა „კონსალტი“, 2022

თბილისი, 0186, ა. პოლიტიკური №4, ჟ: 5(99) 17 22 30, 5(99) 33 52 02

E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

იასი-ს წიგნების სერია

იასი-ს წიგნების ადაპტირებული სერია წარმოადგენს ინსტიტუტის მიერ მომზადებული მნიშვნელოვანი და ძირითადი პუბლიკაციების ამსახველ ღირებულ კოლექციას, რომელიც ორიგინალის, სრული ტექსტის, მკითხველი საზოგადოებისთვის მარტივად აღქმის მიზნით შემოკლებული ფორმითაა დაწერილი. აღნიშნული ნაშრომი, დროის დაზოგვის თვალსაზრისით, წარმოდგენილია გამარტივებული სახით - დაწერილია მოკლედ და მარტივად, ფართო მასებისთვის გასაგები ენით. თანმდევი რეზიუმეები გვთავაზობს დიდი პუბლიკაციების ყურადღებით დაწერილ დეტალურ მიმოხილვას, რაც იმის იმედს გვიტოვებს, რომ ჩვენი ნაშრომი მკითხველს ორიგინალის გაცნობის ინტერესს აღუძრავს.

„პალანსის ალდგენა: ყურანის უფლებამოსილება და სუნა¹ სტატუსი“, ნათელს ჰენრი, ერთი მხრივ, სუნას -

¹. سنت، سعنة [ას-სუნნა، მრ. რ. სუნან، თავდაპირველი აზრით - “გზა”, “მიმართულება”, რომლითაც საჭიროა სიარული; გადატანითი მნიშვნელობით - “ადათი”, “ჩვეულება”] - მოციქულ მუპამადის ქცევა და სიტყვები, შენახული გადმოცემებით და მიღებული სახელმძღვანელოდ მუსლიმთათვის. ყურანში გვხვდება გამოთქმები: პირველთა, ანუ წინაპართა სუნა, სუნათ ალ-ავვალი (8:39/38; 15:13; 18:53/55) და ალაპის სუნა, სუნათ ალლაჰ (17:79/77; 33:62; 35:41/43; 48:23). ორივე გამოთქმა სინონიმურია და აღნიშნავს ალაპის ქცევას ძველი ხალხებისადმი, რომელიც დაისაჯენ იმის გამო, რომ არ იწამეს მათთან წარგზავნილი მოციქულების ქადაგება. ჰადისებში

მუჰამად შუამავლის (ს.ა.ს)² გამონათქვამების და ნამოქ-
მედარის, და, მეორე მხრივ, ყურანს შორის ურთიერ-
თკავშირს. ეს ურთიერმიმართება აღწერილია სხვადას-
ხვა გზით, რაც ქმნის ცოდნისა და გამოცდილების მრა-
ვალფეროვან ფორმებს და, შესაბამისად, ზეგავლენას
ახდენს სწავლულების მიერ სუნას კვლევაზე. აქედან გა-
მომდინარე, აზროვნების ისლამური სკოლები, როგორც
იურიდიული, ისე ფილოსოფიური, სუნას ნარატივს გად-
მოსცემდნენ განსხვავებული მიდგომით, რომელიც
ეფუძნებოდა კონკრეტულად ამ სწავლულების ცხოვრე-
ბის კონტექსტს. ამგვარადვე, ის განსხვავებები, რომელ-
თა მიხედვითაც შეიძლება გადმომცემთა სანდოობისა
თუ არასანდოობის კლასიფიკაცია, აისახებოდა იურიდი-
ული, თეოლოგიური ან ფილოსოფიური პრინციპებიდან
გამომდინარე. ამას შეიძლებოდა გამოეწვია ზოგიერთი
გადმომცემის აღიარება და მეორის — უარყოფა; რომე-
ლიმე ჰადისის აღიარება, მისი საწინააღმდეგოსი კი —
უარყოფა ან რეინტერპრეტაცია; ანდაც ჰადისის ნარა-
ტივის შინაარსის კრიტიკული შეფასების კრიტერიუმის
მიღება თუ იგნორირება.

კითხვა, თუ როგორი მიდგომა უნდა გამოყენებული
სუნას მიმართ, არ დასმულა შუამავლის სიცოცხლის პე-
რიოდში, რომელმაც თავის მიმდევრებს მისცა მითითე-
ბა, რომ მიებაძათ მისთვის, რამდენადაც თავად ერთგუ-

სუნა ჩვეულებრივ გაგებულია, როგორც მუჰამადის სუნა. ალაპი დაკავში-
რებულია თემთან თავისი საღვთო წერილით და მუჰამადის სუნათი.

². صلی اللہ علیہ وسلم : (სალლაہ ლلھا اکے ‘اَللّٰهُ اَكْبَرُ وَ سَلَّمَ) ქართულად: ალლა-
ჰის ლოცვა და მშვიდობა მას, ეს არის ისლამური თეოლოგიური ფორმულა,
რომელიც გამოიყენება როცა წმინდა მუჰამად შუამავლის სახელი „მუჰამ-
დად“ იქნება ნახსენები.

ლად მისდევდა ყურანს. მან თავადვე აჩვენა, თუ როგორ უნდა გაეაზრებინათ ყურანი, გამოეყენებინათ მისი მოძღვრებები კონკრეტული ქმედებებისას და ცხოვრების სახელმძღვანელოდ. ყურანი იძლევა ყველაფრის ახსნას, ხოლო შუამავლის მაგალითი წარმოადგენს იმის ყოვლისმომცველ დემონსტრირებას, თუ როგორ უნდა მოხდეს ყურანის მიწერილობების გამოყენება. სუნამ შეასრულა ის პრაქტიკული როლი, რისთვისაც იგი გამიზნული იყო. შუამავალი მოუწოდებდა მუსლიმურ თემს თავი შეეკავებინა ნებისმიერ ტექტისთვის მიმართვისგან ყურანის გარდა, თუნდაც რომ მათ საღვთო წარმომავლობის პრეტენზია ჰქონდათ. თუმცა, როდესაც სუნას შეკრება მოხდა, მუსლიმურმა თემის ნაწილმა ყურანის უგულებელყოფა დაიწყო მუჰამადისთვის მიწერილი სხვა გადმოცემების სასარგებლოდ, იმ მიზეზით, რომ ეს ნარატივები “შეიცავდნენ” ყურანს. შემდეგ კი მათ დაიწყეს სუნას უგულებელყოფაც ისლამური იურისპრუდენციის სასარგებლოდ იმ საბაბით, რომ ისლამურ სამართლებრივ ტექსტებში ნაგულისხმევი იყო როგორც ყურანი, ისე სუნა. ეს წიგნი პირდაპირ პასუხობს იმ ინდივიდებს, რომლებიც შუამავლის სუნას და ისლამური ტრადიციების შესწავლისას აწყდებიან წინააღმდეგობებს. წიგნი სწავლულებს სთავაზობს კრიტერიუმთა ნაკრებს, რის საფუძველზეც მათ შეუძლიათ შუამავლურ სუნასა და ყურანს შორის ურთიერთკავშირის აღდგენის უმნიშვნელოვანესი მისის შესრულება. შუამავლის სუნა ყურანთან უნდა იყოს უწყვეტ კავშირში ისეთი სახით, რომელიც მოსპობს ყურანსა და სუნას შორის წინააღმდეგობების შექმნის საშუალებას. შესაბამისად, ისლამმა ნაყო-

ფიქრად უნდა გადაჭრას არსებული სოციალური, ეკო-ნომიკური, ინტელექტუალური და სულიერი პრობლემები, რომლებსაც მუსლიმები თავიანთ ყოველდღიურ ცხოვრებაში აწყდებიან.

ტაჰა ჯაბირ ალ-ალვანის ორიგინალის შემოკლებული ვერსია
ბალანსის აღდგენა: ყურანის უფლებამოსილება და სუ-ნას სტატუსი

ISBN hbk: 978-1-56564-691-9

ISBN pbk: 978-1-56564-690-2

2016

თავი პირველი შუამავლობა და შუამავლის მოვალეობები

შუამავალი - როგორც მაცნე და ადამიანი

ღმერთის საბოლოო გზავნილი მოიცავს ყველა წინა შუამავლის გამოცდილებას. ყურანი გვაცნობს მრავალ ამგვარ საკითხს. იგი ეხება განსხვავებებს შუამავლობასა და ღვთაებრიობას შორის, რათა რწმენაზე ახლადმოქცეულმა თემმა არ გაიმეორეს წინარე ერების შეცდომები, რომელთაც დაკარგეს უნარი განესხვავებინათ, ერთი მხრივ, შუამავლობა და მოციქულობა და, მეორე მხრივ - უზენაესობა და ღვთაებრიობა, ასევე ადამიანის თავისუფალი ნება და ღვთიური ხელდასხმა. რაც შეეხება შუამავალს, ყურანი ხაზს უსვამს მის ადამიანურ ბუნებას და მოითხოვს ყველა მისი ბრძანების, რომლებიც მან ღვთისგან მიიღო, დამორჩილებას. შუამავალი ხალხს აფრთხილებდა, არ ეცათ მისთვის თაყვანი გადაჭარბებულად. არაბული სიტყვები „ნაბი“³ და „ნუბუვა“ (შუამავა-

³. „რასულ და ნაბი“- „რასული“ ნიშნავს ალლაჰის რჩეულს - მას, ვისაც ზეგარდმოევლინ წიგნი, ან წერილი, ხოლო „ნაბი“ ნიშნავს ალლაჰის რჩეულს, რომელსაც უშუალოდ არ ეძოდს წიგნი ან წერილი ღვთისგან, მაგრამ ის აფრთხელებდა მოღვაწეობას მის წინარე „რასულზე“ ზეგადმოვლენილი წერილების შესაბამისად. ამრიგად „რასული“ ამავე დროს არის „ნაბი“, ხოლო „ნაბი“ არ შეიძლება იყოს „რასული“. წინამდებარე ნაშრომში „რასულ და ნაბი“ განმარტებულია, თუმცა ზოგად შესატყვისად გამოყენებულია „შუამავალი“.

-რაც შეხება სიტყვა „შუამავალს“ - (მოკლე ალწერა): მოუხედავად იმისა, რომ საქართველოში ისლამის არსებობა საუკუნეებს ითვლის, სამწუხაოდ, ქართულ ენში ისლამური ტერმინოლოგიის შექმნის ან დამკვიდრების მცდელობა არასდროს ყოფილა. რა თქმა უნდა, არსებობს უამრავი ისტორიული მიზეზიც, რომელსაც აქ არ განვიხილავ. ხშირად სხვადასხვა ისლა-

ლი და შუამავლობა) მომდინარეობს ფუძიდან „ნ-ბ-‘“ , რაც ნიშნავს ამაღლებულს, მაღალს ან აღზევებულს. ამასთანავე, გარკვეულ პერიოდში, მუსლიმურ თემში იმდენად დიდი უთანხმოება სუფევდა, რომ მისი წევრები შუამავლის მიმართ თავიანთი მიდგომებით სხვადასხვა უკიდურესობაში გადავარდნენ. არაბ ბედუინთაგან ზოგიერთი მას უბრალოდ ტომის ბელადად აღიქვამდა. თუკი დავუბრუნდებით შუამავლობის კონცეპტს, იუდე-ველებსა და ქრისტიანებისთვის შუამავალი იყო ზეშთაგონებული ინდივიდი, რომელიც უხილავი სფეროს შესახებ აწვდიდა სხვებს ინფორმაციას. ძველ ებრაულ ენაზე სიტყვა შუამავალი (მოციქული) გამოყენებული იყო იმ ადამიანების აღსანიშნავად, რომლებიც საუბრობდნენ სამართლებრივ საკითხებზე. მუსლიმთათვის ტერმინი „ნაბი“ ეხება მას, ვისაც ღმერთმა ზეგარდმოუვლინა გამოცხადება.

შუამავლის (მოციქულის) აღმნიშვნელი არაბული სიტყვა „რასულ“, მომდინარეობს ზმნა „არსალა“-დან,

მური ტერმინი გამოიყენება არაბული, თურქული ან სპარსული ენიდან შემოსული სიტყვებით. სწორედ ამ მიზნით ახალგაზრდა ქართველი მუსლიმი სწავლულების მიერ დაიწყო ქართული ისლამური ტერმინოლოგიის შექმნა და დაფუძნება, როგორც ქართულ სამეცნიერო ენაში, ისე მუსლიმთა სამეცნიერო პრაქტიკაში. აქვე, არ გამოვრიცხავთ, რომ იქნება წინააღმდეგობები და განსხვავებული მოსაზრებები, რაც, ვფიქრობ, მნიშვნელოვანია და მათ არგუმენტირებულად გაეცემა პასუხი. დარწმუნებული ვართ, დროთა განმავლობაში ეს და სხვა მსგავსი ქართული ისლამური ტერმინები დამკვიდრება ქართულ სამეცნიერო ენაში. ზემოხსენებულ ტერმინთა შორის ერთ-ერთი არის – „შუამავალი“, რომლითაც ჩანაცვლებული იქნა აქამდე ქართველი მუსლიმების მიერ გამოყენებული სიტყვა „ფეილამბერი“, თუმცა დღემდე გამოიყენება არაბული ტერმინები „რასულ“ და „ნაბი“. ქართულ სალიტერატურო და სამეცნიერო ენაში გამოიყენებოდა „მოციქული“ ან „წინასწარმეტყველი“. ვფიქრობთ, აღნიშნული არა თუ შეესაბამება ამ ტერმინს, არმედ ენინალმდეგება კიდეც ისლამურ თეოლოგიურ შინაარსს. (რედ. ტარიელ ნაკაიძე).

რაც ნიშნავს გაგზავნას. სურაში “მარიამი” ზმნა „არსა-ლა“ ნეგატიურ კონტექსტშია გამოყენებული და აქ აღ-ნიშნავს ღვთის მიერ სატანური ძალების „მიშვებას“ მათ წინააღმდეგ, ვისაც ჯიუტად არ სწამს. განსხვავება ღვთის მიერ წარგზავნილ (ირსალ) შუამავლებსა და მისი მტრების წინააღმდეგ სატანური ძალების მიშვების (ასე-ვე ირსალ) შორის არის ის, რომ პირველ შემთხვევაში ის გზავნის თავის შუამავლებს, რათა გააფრთხილოს სხვები მომავალი განკითხვის დღის შესახებ. ყურანი ყუ-რადლებას ამახვილებს „ნაბის“ და „რასულის“ განსხვა-ვებაზე. როგორც „ნაბის“, ისე „რასულსაც“ ღვთისგან ზეგარდმოვლენილი გზავნილი მიუვიდათ. თუმცა, „რასულისთვის“ განკუთვნილი ღვთიური გზავნილი ახალ საკანონმდებლო ხასიათს ატარებს, ხოლო „ნაბისთვის“ მოწოდებული ღვთიური გზავნილი არ შეი-ცავს ახალ კანონმდებლობას. „ნაბის“ ფუნქცია არის სხვების სწავლება და მათი წინამძღვლობა მათვის მო-წოდებით, რომ მისდიონ მის წინარე „რასულისთვის“ ზე-გარდმოვლენილ გზავნილს. შესაბამისად, „ნაბის“ აკის-რია პედაგოგიური მისია და იგი ექვემდებარება „რასულს“, რომელიც წინ უსწრებდა მას (ნაბის).

ყურანი „რასულისა“ და „ნაბის“ შორის განსხვავე-ბას სხვა მიმართებითაც გამოხატავს, იმ ცნებაზე დაყ-რდნობით, რომელსაც არაბულად „ისმა“ ეწოდება და რომელიც შეიძლება ითარგმნოს, როგორც “ღვთიური დაცვა”. „ნაბის“ ღვთისაგან ამგვარი დაცულობა არ აქვთ ბოძებული. ზოგიერთი მათგანი, სხვა ადამიანების მსგავსად, მოკლეს კიდეც. მათ ასევე არ აქვთ ღვთიური

დაცულობა ისეთ ადამიანურ წარუმატებლობებსა და ნაკლოვანებებზე, როგორებიცაა შეცდომა, გულმავიწყობა და ურჩობა. „ისმა“, ანუ „ღვთიური დაცვა“ რომელიც მინიჭებული აქვს „რასულს“, მოიცავს ორ ასპექტს: იგი (რასული) დაცულია იმისგან, რომ მოკლან და ასევე შეცდომისგან ზეგარდმოვლენილი გზავნილის სიტყვების განცხადებისას. შესაბამისად, ღვთიური გზავნილი დაცულია „რასულის“ მეხსიერებაში და ასევე დაცულია შეცდომებისგან იმ ფორმიდან გამომდინარე, როგორითაც ის წარმოითქმის სხვებისთვის გადაცემის პროცესში. როდესაც „რასული“ ამთავრებს გზავნილის გადაცემას, მისი, როგორც „რასულის“ როლი ამით ამოინურება და სათავეს იღებს მისი, როგორც „ნაბის“ ფუნქცია. შესაბამისად, „ნაბიმ“ უნდა იმოქმედოს ზეგარდმოვლენილი გზავნილის მიხედვით, ასწავლოს იგი სხვებს და მოუწოდოს მათ, მიიღონ ის და გაითავისონ.

შუამავლობა არ გამორიცხავდა შუამავლის ადამიანურობას. ის მას უფრო სწავლულისა და მოძღვრის როლს ანიჭებდა. მაშინაც კი, როდესაც შუამავალი გახდა „რასული“, ეს არ გამორიცხავდა მის ადამიანურობას და არც მისი, როგორც შუამავლის, ამოცანას. მას, სრული ადამიანური ბუნებისა და შუამავლობის შენარჩუნებასთან ერთად, „რასულის“ როლიც დაეკისრა. როგორც ყურანში ნათქვამია: „უთხარი (მუჰამმად): „მე მხოლოდ ადამიანი ვარ თქვენსავით. მე ზეშთამეგონა, რომ ღმერთი თქვენი ერთადერთი ღმერთია. მაში, ვინც სასოებს თავის უფალთან შეხვედრას, მაშინ მართალი საქმე აკეთოს და ნუ დაუდგენს ზიარად თაყვანისცემაში თავის ღმერთს ნურავის!“ (ყურანი- 18:110). დამატებით, ვინაი-

დან შუამავლობა მოძღვრის სტატუსსაც მოიცავს და შუამავლები ასევე ყველაზე გამორჩეულ სწავლულებად ითვლებიან, ისინი საღვთო გზავნილის ინტერპრეტირებაში (იჯთიპადი) ყველაზე მეტად კვალიფიციურნი არიან. „ნაბი“ იჯთიპადს ანხორციელებს, როდესაც ასწავლის, კონკრეტული წესების შესახებ დასკვნებს აკეთებს, ან ღვთიურ გზავნილებს საყოველთაოდ გასაგებს ხდის და მოუწოდებს სხვებს, რათა დაეუფლონ და შეისწავლონ ის. თუ, მეორე მხრივ, იგი არის ასევე „რასული“, ის იყენებს გზავნილს, რომელიც უშუალოდ მას ზეგარდმოევლინა. აქედან გამომდინარე, „რასულსა“ და „ნაბის“ შორის სამი განმასხვავებელი მოცემულობიდან გამომდინარე - ღვთიური გზავნილი, ხელშეუხებლობისა და შეუცდომლობის ღვთისგან ბოძებული დაცულობის ლეგიტიმაცია, და იჯთიპადის ანუ ინტერპრეტაციის განხორციელება - ზოგადად მიღებულია, რომ „რასული“ არის შუამავალი, რომელსაც ღვთიური კანონმდებლობა ზეგარდმოევლინა, ხოლო „ნაბი“ ექვემდებარება „რასულს“. აქედან გამომდინარეობს პრინციპი, რომ „ყველა რასული - ნაბია, მაგრამ ყველა ნაბი არ არის რასული“. შუამავლობა (ნაბი) დაკავშირებულია კონკრეტულ დროსა და ადგილთან, მაშინ როდესაც „რასულის“ სტატუსი უნივერსალურია და გრძელდება იმ ადამიანის სიკვდილის შემდეგაც, რომელმაც ეს როლი სიცოცხლეში შეასრულა. ამ განსხვავების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ მუჰამად შუამავალის (ს.ა.ს.), როგორც „ნაბის“ მისია შეეხებოდა არაბებს, ხოლო მისი,

როგორც „რასულის“ მისია - მთელ მსოფლიოში ყველა ადამიანისადმი იყო მიმართული.

შუამავლები ყურანში

ყურანი ადგენს იმის ზოგად სქემას, თუ როგორ უნდა აღვიქვათ და ვუპასუხოთ შუამავლებს. ყურანი ასევე ათავისუფლებს შუამავლებს, რომლებიც წარდგნენ ისრაელის შვილების წინაშე, მათ მიმართ ყალბი ბრალ-დებებისგან და ხაზს უსვამს მათ სრულ ადამიანობას “ალ-ანბიას” სურაში (21:7-8). როგორც ყურანი, ისე სუნა ადასტურებს შუამავლების უცოდველობას (‘ისმა) იმით, რომ არც ერთ ჭეშმარიტ შუამავალს არ შეეძლო დიდი ცოდვის ჩადენა. იმისათვის, რომ მათ აღესრულებინათ მიზანი, რისთვისაც ისინი იყვნენ მოვლენილნი, შუამავ-ლები უნდა ყოფილიყვნენ მიბაძვის ღირსნი.

როგორც “ალ-ანბიას” სურაშია (21:92) ნაჩვენები, რომ ღვთის შუამავლები შეადგენენ „...ცალკე მდგომ თემს..“, რომელსაც გააჩნია მათთვის განსაზღვრული გზავნილისა და იმ წყაროს მიმართ პატივისცემა, საიდა-ნაც ეს გზავნილები წარმოდგება. მათი მოწოდება უშუა-ლოდ უკავშირდება ღმერთისგან ზეგარდმოვლენილ იდე-ალებსა და თვითგანნმენდას. ისინი დედამიწაზე ჰუმანუ-რი ცივილიზაციის საფუძვლების ჩაყრისკენ მოუნოდე-ბენ. ყურანი გამოხატავს „რასულსა“ და „ნაპის“ შორის როგორც მსგავსებას, ასევე განსხვავებულობას. ასევე, ყურანი გვიჩვენებს მათ მიერ გადმოცემულ გზავნილებ-ში მუდმივობასა და ცვალებადობას. კერძოდ, ოთხი მნიშვნელოვანი განზომილებით: დოქტრინა, ადამიანური ღირებულებები და მორალი, ღვთისგან ზეგარდმოვლენი-ლი კანონი და ადამიანთა ურთიერთქმედება საზოგადო-

ებაში. თუმცა, დეტალური და ახლად ჩამოყალიბებული კანონები სხვადასხვა საზოგადოებებში ერთმანეთისგან განსხვავდება დროისა და ადგილის ცვლილებების შესაბამისად.

ისლამური იურისპრუდენციის საფუძვლების მკვლევრები, სულ მცირე, სამ კატეგორიად იყოფიან იმ საკითხთან დაკავშირებით, იყო თუ არა შუამავლის განხორციელებული თაყვანისცემის ქმედებები როგორც ღვთაებრივი გზავნილის მიღებამდე, ისე მის შემდეგ, დაფუძნებული იმ კანონებსა და ტრადიციებზე, რომელიც წინა შუამავლებს ზეგარდმოევლინა. მკვლევრების ერთ ჯგუფს უარყოფს, რომ შუამავალი ღმერთს თაყვანს სცემდა მისი წინამორბედების წესების შესაბამისად. მეორე ჯგუფს მიაჩნია, რომ ის თაყვანს სცემდა წინარეპრაქტიკების მიხედვით. ხოლო მესამე ჯგუფი ამ საკითხთან დაკავშირებით არანაირ აზრს არ გამოხატავს. აქ სირთულე გამომდინარეობს ყურანის კონტექსტის არასწორი გაგებიდან. ისინი, ვინც ეკუთვნიან მეორე ჯგუფს, ციტირებენ, მაგალითად, სურა „ალ-ან“-ის ერთ-ერთ აიას, სადაც ღმერთი უბრძანებს შუამავალს „გაპყვეს ჭეშმარიტ გზას“ - იმისას, „ვისაც ღმერთმა უხელმძღვანელა“ (6:90). ისინი აგრეთვე ეყრდნობიან სურა „ალ-ნაპლის“ (16:123). თუმცა, სურა „ა‘რაფი“ (7:158) გადმოგვცემს: „უთხარი: ჰეი, ადამიანებო! უეჭველად, მე ვარ ყველა თქვენთაგანისთვის შუამავალი ალლაჰისა, რომელსაც ეკუთვნის მეუფება ცათა და ქვეყნისა. არ არსებობს ღვთაება, გარდა მისი! იგი აცოცხლებს და აკვდინებს“. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ღვთის გზავნილი, რომელიც განცხადებულია ყველა

„რასულისათვის“ და „ნაბისთვის“, დაფუძნებულია კონკრეტულ ბურჯებზე. ესენია: ღმერთის ერთადერთობა; შუამავალთა სრული ადამიანობა და მათ გზავნილთა ჭეშმარიტება; და ყველა შუამავლისთვის ბრძანება, რომ მისდიონ მათვის ზეგარდმოვლენილ გზავნილს.

შუამავლებისთვის დაკისრებული ამოცანები

ღმერთმა თავის შუამავლებს, როგორც „რასულს“, ასევე „ნაბის“, დააკისრა ამოცანები და პასუხისმგებლობები, რომელებიც მათ ზუსტად, მოთხოვნების შესაბამისად უნდა შეასრულონ. ყურანში მოყვანილია მაგალითები წარსულის რელიგიური თემების შესახებ, რომელთა წარმოდგენებიც იმის შესახებ, თუ ვინ იყვნენ მათი შუამავლები, გაყალბებულად იქცა და ღმერთი გვაფრთხილებს, რათა შემდეგშიც არ მოხდეს იგივე შეცდომების განმეორებით დაშვება. ყურანი ხაზს უსვამს შუამავალთა სრულ ადამიანობასა და უცოდველობას, განმარტავს მათ მიერ ჩადენილი სასწაულების მნიშვნელობას. ის ხაზს უსვამს შუამავალთა ადამიანურ შეზღუდულ შესაძლებლობებს და მკითხველს ახსენებს, რომ ყველა სასწაული, რომელსაც შუამავლები (როგორც „რასული“ ასევე „ნაბი“) ახდენდნენ, მხოლოდ და მხოლოდ ღმერთს ნამოქმედარია, რომელსაც არ ჰყავს თანაზიარი და რომელმაც შუამავლებს უწყალობა ეს სასწაულები, რათა დაედასტურებინათ მათზე ზეგარდმოვლენილი გზავნილის ჭეშმარიტება: თქვი: „მე მხოლოდ ადამიანი ვარ თქვენსავით. ზეშთამეგონა რომ ღმერთი თქვენი ერთადერთი ღმერთია. მაშ, წარსდექით მის წინაშე ჭეშმარიტი რწმენით და მიტევება შესთხოვეთ მას...“ (ყურანი-41:6).

ადრეულ შუამავლებზე ზეგარდმოვლენილი გამოცხადებები იყო ბრძანებები მათთვის განცხადებული წესების შესრულებისა. მათ უნდა მოეწოდებინათ თავიანთი ხალხისათვის და ეჩვენებინათ მათთვის, თუ როგორ უნდა დაენერგათ ზეგამოვლენილი მოძღვრებები პრაქტიკაში. ამ ცოდნის დაუფლებას და პრაქტიკაში მის დანერგვას, ამის გამო, შეიძლება ეწოდოს „ღვთისმოსაობის იურისპრუდენცია“. შუამავლების ცოცხალი მაგალითები არ იყო თვითმიზანი, არამედ ისინი მათთვის ზეგარდმოვლენილი გზავნილების გავრცელებას ემსახურებოდა. ამრიგად, მსგავსად თორას დამოკიდებულებისა მოსეს, აარონის და ისრაელის შვილებთან გაგზავნილი ყველა სხვა შუამავლის მიმართ, ამ ინდივიდები აცნობდნენ ხალხს იმას, რაც მათ ზეგარდმოვლინათ. შემდეგ მათ უნდა მოეწოდებინათ ღვთიური გზავნილის შესაბამისად მოქმედებისკენ და გაეფრთხილებინათ მის წინააღმდეგ წასვლის აკრძალვის შესახებ.

შუამავალთა ბეჭდისთვის დაკისრებული ამოცანები

პირველი ამოცანა არის „თილპვა“ (რეციტაცია (ხმამაღლა წარმოთქმა), ანუ განცხადებული გზავნილის „მიყოლა“). ღმერთმა თავის შუამავალს უბრძანა საჯაროდ განეცხადებინა და გავრცელებინა ყურანი. შესაბამისად, სურა „ალ-‘იმრანში“ ვკითხულობთ: „მოჰმადლა ალლაჰმა მოწყალება მორწმუნებებს, როცა მოუვლინა მათ შუამავალი მათივე წიაღიდან, რომელიც უკითხავს მათ (ალლაჰის) აიათებს, განწმენდს მათ, ასწავლის წიგნსა და სიბრძნეს...“ (ყურანი-3:164). არაბული სიტყვის „დათლუ“ სხვა მნიშვნელობები ხშირად თარგმნილია, როგორც „წარმოთქმა“ ან „გალობა“, რაც ატარებს გა-

ყოლის ან მიბაძვის მნიშვნელობას. ღმერთი ბრძანებს: „ვფიცავ, მზეს და მის ნათებას! და მთვარეს რომელიც ირეკლავს მზეს!“ (ყურანი- 91:1-2). ფრაზის (ვა ალ-კამა-რი იზა თლპჰ), უფრო ზუსტი თარგმანი იქნებოდა „მთვარეს, რომელიც მიჰყვება მას (მზეს).“ მთვარე შუქს იღებს მზისგან. შესაბამისად, ამ თვალსაზრისით, ის არის მზის „მიმდევარი“ ან „მემკვიდრე“.

მეორე ამოცანა არის „თაბლილ“ (განცხადება, დეკ-ლარირება). ზმნა „ბალალა“, საიდანაც მიღებულია აქ-ტივირებული ზმნა „ბალლალა“ (სახელზმნა, თაბლილ), ნიშნავს საბოლოო ან განსაზღვრული დანიშნულების ადგილას მიღწევას, რომელსაც შესაძლოა ჰქონდეს გეოგ-რაფიული, დროის ან მეტაფორული შინაარსი.

მესამე ამოცანა არის „ბაჩნ“ (განმარტება). ყურანის განმარტების მიზანია, რომ თავიდან აიცილოს ან მინიმუმამდე შეამციროს ხალხში არსებული უთანხმოებები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იყოს გაგებული ყურანის აიების შინაარსი. გამოცხადების განხორციელების პროცესი მკაფიოდ გამოიხატება სიტყვებით, მოქმედებებით, ან ამა თუ იმ მოსაზრებისა თუ მოქმედების მოწონების აქტით.

მეოთხე ამოცანა არის „ნუსკ“ (ბრძნული რჩევის მიცემა). ყურანი გამოგვცემს, რომ შუამავალ ჰუდს ერთხელ უთქვამს: მოწოდება: „ჩემო ხალხო! მე არავარ უმეცარი, არამედ მე შუამავალი ვარ სამყაროთა ღმერთისა“. მე თქვენ გაუწყებთ გარდმოვლენილ მოწმობას ჩემი ღმერთის; და სანდო მრჩეველი ვარ თქვენთვის (ყურანი- 7:67-68).

მეხუთე ამოცანა არის „თა‘ლიმუჰუმ ალ-ქითაბა ვა ალ-ჭიქმა“ (მათვის წიგნისა და სიბრძნის სწავლება). სურა ალ-ჯუმ‘აში ვკითხულობთ: „იგია, რომელმაც მო-ავლინა უსწავლელთა შორის შუამავალი მათივე წიაღი-დან, რომელიც უკითხავს მათ (ალლაჰის) აიებს, გან-წმენდს მათ, ასწავლის წიგნისა და სიბრძნეს, თუმცა მა-ნამდე იყვნენ ისინი ცხად გზააბნევაში“ (ყურანი-62:2). „სიბრძნე“ (ალ-ჭიქმა) საკმაოდ ფართო კონცეპტია, რო-მელიც მოიცავს ყველაფერს, კოსმოსის კანონებიდან დაწყებული ადამიანის ცოდნითა და აღმოჩენებით დამ-თავრებული.

მეექვსე ამოცანა არის „თაზქეათ ნუფუს ან-ნასი ვა ‘უკულიჰიმ‘“ (ადამიანების გულებისა და გონების გან-წმენდა). შუამავლის ამოცანებს შორის ვხედავთ ადამია-ნების განწმენდას „...განწმენდ მათ...“ (ღუზაქქიჰიმ) (ყურანი-62:2).

მეშვიდე ამოცანა არის „ითთიბპ‘“ (გაყოლის ანუ მიმდევრობის სწავლება). ზმნა „ითთაბა‘ა“ (სახელზმნა, ითთიბპ‘) ნიშნავს, რომ მიჰყვე ვინმეს ან იარო მის კვალში. ღმერთი აცხადებს, რომ: „ვინც გაჰყვეს ჩემს გზას ჭეშმარიტს (...მან თაბი‘ა ჰუდად..), არცა შიში ექ-ნეთ და არცა სადარდებული“ (ყურანი-2:38). მიმდევრო-ბის პროცესი, რაზეც აქ საუბარია, იმიტაციის მსგავსია, თუმცა იგი ეფუძნება შესაბამის მტკიცებულებას.

მერვე ამოცანა არის თა‘ლიმუჰუმ ალ-იკთიდპ‘ ბი-ჰი (სხვების სწავლება, მიბაძონ მას). ღმერთმა შუამავ-ლებს უბრძანა მიებაძათ (იკთადი) მათვისა, ვისაც მათ-ზე წინ მიეცათ ღვთიური მითითებები (ყურანი-6:90). ამ კონტექსტში მიბაძვის აქტი გულისხმობს ლიდერის

მტკიცებულებებისა და ჭეშმარიტების გზის გაყოლას. შესაძლოა ეს ლიდერი იყოს შუამავალი, ღირსების დამ-ცველი თუ სხვა.

მეცხრე ამოცანა არის „თა’ლიმუჰუმ ალ-იჰად“ ბი ალ-ჰადი“ (ასწავლო სხვებს, რომ იხელმძღვანელონ ჭეშმარიტებით). წინამდლოლობით ქმედების, ან წინამ-დლოლობის მოძიების პროცესი დაკავშირებულია იმას-თან, თუ რას ვეძებთ და რისკენ მივისწრაფვით; ასევე იმ არჩევანზე, რასაც ჩვენ ვაკეთებთ მიწიერ ან სულიერ საკითხებთან კავშირში. „და იგია, რომელმაც დაამყარა თქვენთვის ვარსკვლავები, რათა გზა გაიკვლიოთ იმით ხმელეთსა და ზღვის ბნელეთში ...“ (ყურანი-6:97).

მეათე ამოცანა არის „თა’ლიმუჰუმ ათ-თა’ასსი ბი-ჰი“ (ასწავლის მათ, რომ მიბაძონ მას, როგორც თავიანთ მოდელს). მისი მიბაძვა, ვინც მიგვაჩნია ჩვენს მისაბაძ მაგალითად, მოითხოვს, რომ განვიხილოთ ამ პიროვნე-ბის სიტყვები და მოქმედებები, რომლებიც გამოწვეული კონკრეტული მიზეზებიდან და შემთხვევებიდან, რაც აგ-რეთვე კავშირშია რაიმე სახის წესებსა და მიწერილო-ბებთან.

მეთერთმეტე ამოცანა არის „ალ-ჰადმანა“ (საბო-ლოობისა და უზენაესობის პრაქტიკა). „ჰადმანას“ პრო-ცესზე ან ქმედებაზე ყურადღება გამახვილებულია ალ-მა’იდას სურაში, სადაც ღმერთი შუამავალს მოუწოდებს: „და ჩვენ შენდა გარდმოვავლინეთ წიგნი ჭეშმარიტებით, დასტურად იმისა, რაც მასზე უნინ იყო წიგნში, და დამ-ცველად მისდა....“ (ყურანი-5:48).

აია (სასწაული ან ნიშანი) წინარე გზავნილებსა და საბოლოო გზავნილები

ღმერთმა აირჩია კონკრეტული შუამავლები, რათა მათ გადაეცათ წინამძღოლობისა და სინათლის გზავნილები კაცობრიობისთვის. შუამავლები ითვლებიან საღვთო წინამძღოლობისთვის შერჩეულებად, რომლებიც მზად არიან მიიღონ ღვთიური ზეშთაგონება და სულიერი სიძლიერე ანგელოზების საშუალებით. ასევე თავის თემთან ურთიერთობით მიიტანონ სხვებთან ის, რაც მათთვის იყო წინასწარ ცნობილია. ყურანი გადმოგვცემს თუ როგორ ეკითხებოდა ყველა ეპოქაში ხალხი შუამავალს „ნიშანზე“ ან აიაზე. დიდი გაურკვევლობა იყო ორ ტერმინთან - „სასწაულ“-სა და „ნიშან“-თან დაკავშირებით. ქვემოთ მოცემულია ათი საკვანძო საკითხი, რომლებიც მოითხოვს შესაბამის განმარტებას.

პირველი, ჩვეულებრივად იქცა ფრაზის „შუამავალთა სასწაულების“ გამოყენება უფრო ყურანისეული კონცეპტის „შუამავალთა ნიშნები“ ნაცვლად. „სასწაულებრივი“ აძლიერებს წინააღმდეგობასა და დაუმორჩილებლობას მათ შორის, ვინც ამის მოწმეა. „ნიშანი“ მოიცავს სასწაულებრივი არსის ელემენტს, მაგრამ სასწაულებრივ მოვლენას წარმოადგენს, როგორც მტკიცებულებას. ასევე „ნიშნის“ ფუნქცია არის მოამზადოს ისინი, ვინც მისი მოწმე გახდა, ყურადღებით მოისმინონ, უფრო ღრმად ჩაწვდნენ გზავნილსა და გზავნილის მატარებელს. **მეორე,** ამ ტერმინების ყურანში გამოყენებას, რომლებიც მომდინარეობს ფუძიდან ‘-ჯ-ზ’, არანაირი კავშირი არ აქვს ნიშნებთან ან აიასთან, რომლებიც შუამავლებმა თავიანთი გზავნილისთვის მხარდაჭერის მოსაპოვებლად

გამოიყენეს. რეალურად, არაფერი მიანიშნებს იმას, რომ სიტყვები მუჟიზა და აია სინონიმებია. **მესამე**, სიტყვა აია განისაზღვრება, როგორც ნიშანი ან მაჩვენებელი. ასევე, იგი შესაძლო კავშირში იყოს ყურანის ნაწილთან ან აიასთან. **მეოთხე**, „რასულის“ მიერ გამოყენებული აიას კონცეპტთან დაკავშირებით, ის არ იყენებს ტერმინს „სასწაული“ (მუჟიზა), არამედ, მის ნაცვლად, ყურანის კონცეპტს „ნიშანი“, ან აია. **მეხუთე**, ყურანის კონცეპტ აია-ს რაც შეეხება, ეს სიტყვა მომდინარეობს სახელ-ზმინისაგან „ათ-თა’ადერ“, რაც დასახლების ან რაიმეზე საკუთარი თავის დაფუძნების აქტს ნიშნავს. ზმნა „თა’ადეა“ ასევე განისაზღვრება ზმნასთან „არფაკა“ კავ-შირში, რაც ნიშნავს იყო სასარგებლო, ან ემსახურო, ან ზმნასთან „ავიდა“ ერთად ნიშნავს თავშესაფრის შეთავაზებას.

მეექვსე, ამასთანავე, აუცილებელია გამოვკვეთოთ აიას, როგორც ყურანის სტრუქტურული ერთეულისა და აიას, რომელსაც წმინდა ლოგიკურ მნიშვნელობა აქვს, შორის სხვაობა. პირველი მნიშვნელობით გამოყენებისას, ყურანის ნებისმიერი ნაწილი, რომელიც გამოხატავს წესს ან ან ატარებს დამოუკიდებელ აზრს, არის აია. საპირისპიროდ, ყოველი ნაწილი, რომელიც გამოყოფილია მეორესგან შესაბამისი ნიშნებით, შეიძლება ჩაითვალოს აია-დ, რომლის საფუძველზეც ჩვენ ვითვლით აიების რაოდენობას (ჩანთ) სურაში. სიტყვა „აიას“ სამი მნიშვნელობა აქ არის: „ნიშნები“, ან აია, რითაც აღინიშნება არსებული კანონზომიერებანი და კოსმიური კანონები; სოციალური „ნიშნები“, რომლებიც გვხვდება შუამავალ-თა ისტორიებში და ყურანის სურაში არსებული აიები.

მეშვიდე, შუამავლებთან დაკავშირებული სიტყვები „პათ“, ან „ნიშნები“ ყურანში მოცემულია, როგორც მხოლობით რიცხვში (პა), ისე მრავლობითშიც (პათ). „ალ-მუ’მინუნის“ სურაში ეს სიტყვა გამოიყენება მხოლობით რიცხვში: „და ჩვენ დავადგინეთ მარიამი და ძე მისი სასწაულად და დავასახლეთ ისინი დაფარულ მაღლობზე, სადაც წყარო მოედინებოდა!“ (ყურანი-23:50). აქ ნახსენებია მხოლობითი ფორმა, და არა ორობითი, რადგან თითოეულმა ამ ორ პიროვნებათაგან - იქსომ და დედამისმა მარიამმა - წვლილი შეიტანეს ერთ დიად სასწაულში (ნიშანში). რაც შეეხება მოსეს, ღმერთმა ბრძანა: „ვფიცავ, ჩვენ ვუბოძეთ მუსას ცხრა აშკარა სასწაული (პათ)...“ (ყურანი- 17:101).

მერვე, ყურანში „ნიშნების“ (სასწაულების) მიზანია შიშის ჩანერგვა ან გამოწვევის წარმოდგენა, რაც „ალ-ისრა’ს“ სურაშია მოცემული, (ყურანი-17:59). **მეცხრე,** საბოლოო გზავნილის „ნიშნის“ მახასიათებლების გამოსხვავება. კაცობრიობისთვის საბოლოო გზავნილი, რამდენადაც ის სასწაულებს (ალ-მუ’ჯიზათ) და ნიშნებს (ალ-პათ) ეხება, განსხვავდება წინა ღვთიური გზავნილებისაგან სტილით, ფორმითა და შინაარსით. მუჰადამისთვის, ღმერთის უკანასკნელი შეუამავლისთვის ნაბოძები ეს ნიშანი იყო ყურანი. ამ ნიშნის გადაცემით ღმერთმა კაცობრიობას სამყაროს რეალობის აღმოჩენის, გამოკვლევის და აღქმის პასუხისმგებლობა დააკისრა. თუმცა, გაურკვევლობა წარმოიშვა იმ სასწაულს, რომელიც ყურანის სახით ებოძა შუამავალ მუჰამადს (ს.ა.ს.) და იმ სასწაულებს შორის, რომლებიც მოსეს, იქსომ და სხვების ხელით განხორციელდა. **მეათე,** საბოლოო გზავ-

ნილი და მისი განმასხვავებელი მახასიათებლები. ყურანი დაცულია თავად ღმერთის მიერ. იგი ადასტურებს და „აკონტროლებს“ სუნას კრიტერიუმებს, რის საფუძველზეც ჩვენ განვსაზღვრავთ, თუ რა არის სწორი ან არას-წორი სუნაში. ყურანთან ერთად, შუამავლის სუნა ასრულებს მნიშვნელოვან როლს ისლამური კანონმდებლობის ფორმირებაში, მაგრამ დადგენილია წესები, რომელიც არეგულირებს სუნას როლს ამ პროცესში.

მუჰამად (ს.ა.ს.) შუამავლის სუნა არის წინა შუამავლების მიერ დატოვებული მაგალითებისა და გამოცდილებების შეჯამება. მუჰამად (ს.ა.ს.) შუამავალში ვხედავთ, მაგალითად, ნოეს თავისი მოთმინებითა და შეუპოვრობით; აბრაამს, მისი ბრძოლით ჭეშმარიტების ძიებაში, მის ღვთისმოსაობასა და მორჩილებას; ასევე მოსეს მისი შრომისმოყვარეობითა და საკუთარ ხალხზე განსაკუთრებული ზრუნვით. ჩვენ ვხედავთ იესოს, მისი სწრაფვით გადასცეს თავის ხალხს მათი რელიგიის ყველაზე არსებითი ჭეშმარიტებანი. ყურანი წარმოადგენს ღვთაებრივი გამოცხადების არსს, მაშინ როცა სუნა არის ადრეული შუამავლების მიერ მათი შესაბამისი ხალხებისთვის გადაცემული განცდებისა და იმ მაგალითების კვინტესენცია, რომლებიც ჩვენ დაგვიტოვეს. შუამავლისეული სუნა ისე უნდა იყოს ყურანთან დაკავშირებული, რომ მათ შორის რაიმე სახის წინააღმდეგობა არ არსებობდეს, პირიქით მათი კომბინირება უნდა ქმნიდეს მჭიდროდ შეკრულ სტრუქტურულ ერთიანობას.

თავი მეორე

სუნა როგორც კონცეპტი და როგორც ტექნიკური ტერმინი

სუნას კონცეფცია და მისი ისტორიული განვითარება

სიტყვა სუნას მე განვიხილავ არა როგორც ტექნიკურ ტერმინს, არამედ როგორც კონცეპტს. სინამდვილეში, ეს არის უკიდურესად ზუსტი და დახვეწილი სამართლებრივი კონცეპტი, რომელსაც ჰქონდა შორსმიმავალი შედეგები და რომელმაც მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა ისლამურ ინტელექტუალურ ტრადიციაზე. სიტყვა სუნა მოიცავს მთელ რიგ კავშირში მყოფ კონცეპტებს, როგორებიცაა „გზა“ ან „ბილიკი“ (ტარიკა), ჩვეულება (‘ბდა), სოციალური და ბუნების კანონი (ალკანუნ ალ-იჯთიმბ’ი ვა ატ-ტაბर’ი), და ა.შ. სიტყვა სუნას უფრო ტექნიკურ ტერმინად გარდაქმნამ დაბნეულობა და გაურკვევლობა გამოიწვია. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ამ კონცეპტის შესწავლა, ანალიზი და ხელახალი ფორმურილება. ამრიგად, ჩემი მიზანია, ნათელი მოვფინო ამ ტერმინებს შორის კავშირს და ამის გაკეთებით მოვახდინო მათი, როგორც ერთიანი ყოვლისმომცველი კონცეპტის ვალიდურობის დემონსტრირება, რომელიც წარმოადგენს უნიფიცირებულ სამართლებრივ ერთობას (ჰაკიდური შარ’ ეთა ვპჰიდა).

მორფოლოგიურად, სიტყვა „მაფჰარ“, რომელიც ითარგმნება, როგორც „კონცეპტი“, წარმოადგენს გრამატიკულ პასიურ მიმღეობას და მომდინარეობს სამასო-იანი ფუძისგან ფ-ჰ-მ, რაც ნიშნავს „გაგებას“. ამგვარად,

მისი ზუსტი მნიშვნელობა არის „გაგება“. ლოგიკოსები მას განსაზღვრავენ, როგორც აღქმას, რეალიზაციას ან შემეცნებას (მუდრაქ), გონებაში რაც ხდება ან შესაძლოა მოხდეს მოქმედების ან სიტყვიერი ფორმით, მავანის პირდაპირი გამოცდილების ან ვინმეს სიტყვიერი აღნერილობის სახით. „მაფჰეტების“ ცნება იყოფა ორ კატეგორიად: რასაც შეიძლება ეწოდოს „ჰარმონიული მნიშვნელობა“ (მაფჰეტ მუკაბაკა). ეს არის ვინმეს ნათქვამის პირდაპირი გაგება უშუალოდ შეტყობინების ან შინაარსის მკაფიოდ გადმოცემის გზით. ასევე არის „განსხვავებული მნიშვნელობა“ (მაფჰეტ მუხაბლაფა) - ეს გულისხმობს, რომ განცხადება ან გამოხატული აზრი მიიღება ასოციაციური ფორმით, ანუ იმის გაგებით, რაც არ თქმულა, საპირისპიროდ იმისა, რაც ითქვა.

არაბი ლინგვისტები სიტყვა სუნას უკავშირებენ ოთხ მნიშვნელობას — მანერა ან გზა (ტარიკა), ჩვევა ან ჩვეულება ('ადა), ქცევა ან ცხოვრების წესი (სირა), და ბუნება, მიდრეკილება ან ხასიათი (ტაბი'ა). რაც შეეხება ყურანში სუნას კონცეპტს, სამასოიანი ფუძე ს-ნ-ნ ცხრაჯერ გვხვდება მექის სურებში, ხოლო ათჯერ მედინის სურებში. ეს ფუძე და მისი დერივაციები გამოყენებულია ყურანში იმ ფენომენთან დაკავშირებით, როგორცაა კოსმოსისა და საზოგადოების კანონზომიერებანი, და გამოხატავენ პროგნოზირებად, უცვლელ კანონებს. მაგალითად, აღ-ანფალის სურაში (ყურანი-8:38), ღმერთი აფრთხილებს პოლითეისტებს და მათ, ვინც მისი სწორი გზიდან გადაუხვია, რომ ისინი ვერასდროს ვერ გაექცევიან თვითნებურებისა და დაუმორჩილებლობის შედეგებს. ღმერთის გზის მარადიული ბუნების დანახვა

შეიძლება იმ ფაქტში, რომ მიუხედავად იმისა, რომ არ-სებობს ღვთაებრივი კანონების ბევრი განშტოება, და როგორი განსხვავებულიც არ უნდა ჩანდეს ეს განშტოებები, მათ გააჩინათ საერთო და უცვლელი მიზანი — ეს არის ადამიანთა გულების განწმენდა, რათა ისინი გახდნენ ღვთის ჯილდოს ღირსნი და მოემზადონ ღვთიურ სამყოფელში თავშეფარვისთვის.

წმინდა ლინგვისტური თვალსაზრისით, სიტყვა სუნა თავისი დერივაციებით უკავშირდება ქმედებას ან ცხოვრების წესს, როგორც ცუდს, ასევე კარგსაც. ანალოგიურად, „უსულ“ის სკოლის რამდენიმე სწავლულის აზრით, სიტყვა სუნა უბრალოდ ეხება ცხოვრების წესს, ჩვევებს, ან ჩვეულებით პრაქტიკას კონკრეტულად ადამიანებთან მიმართებაში. რაც შეეხება სუნას კონცეპტს საკუთრივ შუამავლის სუნაში, იგი გამოიყენებოდა სანიმუშო ცხოვრების წესის აღსანიშნავად, როგორც ინდივიდთან, ისე მთელი თემთან მიმართებაში. ისლამურ წრეებში ტერმინი გულისხმობდა იმას, რის შესახებაც ზოგადად საყოველთაო შეთახმება არსებობს და ასევეა სანიმუშო საქციელის იდეალი, თუმცა იგი არ იყო შუამავლის რაიმე მაგალითით ან მითითებით გამყარებული. პიჯრით მეორე საუკუნის ბოლოს კი სიტყვა სუნას მნიშვნელობა შევიწროვდა იქამდე, იგი უკვე გამოიყენებოდა მხოლოდ „რასულის“ ქმედებებთან დაკავშირებით.

ტერმინი სუნას გვიანდელი გამოყენება

პიჯრით პირველი საუკუნის განმავლობაში ტერმინი სუნა ასოცირდებოდა სხვადასხვა მნიშვნელობებთან. პიჯრით 34 წლიდან დაწყებული საუბრების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ტერმინი სუნა გამოიყენებოდა

ზოგადად მოწონებული ქმედების ლეგიტიმაციის მნიშვნელობით. ჰიჯრით 35 წელს ხალიფა ‘უსმან იბნ ‘აფფანმა მექელ ხალხს სიტყვით მიმართა, რომელშიც ისაუბრა „ღვთის შუამავლის (ას-სუნნა ალ-ჭასანაჲ ალ-ლათ ისთანნა ბიჰა რასულ ალლაჲ) და პირველი ორი ხალიფის ლირსეულ ქმედებებზე.“ ჰიჯრით 38 წელს სიტყვა სუნა გამოყენებული იყო ხალხის წეს-ჩვეულებებზე დამყარებული ქმედებებს. თუმცა, ამ წლების მანძილზე სიტყვა სუნა ასევე გამოიყენებოდა სხვადასხვა ცნებებისა და საკითხების ალსანიშნავად, როგორიცაა ისლამის გზა (სუნნათ ალ-ისლაჲ), მუსლიმთა გზა (სუნნათ ალლაჲ). ის გამოიყენებოდა შუამავლის და პირველი ორი ხალიფას, აბუ ბაქრისა და ‘უმარ იბნ ალ-ხატტაბის ქმედებების ალსანიშნავად, პირველ რიგში კი მუჰამად (ს.ა.ს.), შუამავლის მიმართ, ვინც გაუძლვა მათ, რათა ჩართულიყვნენ ლირსეულ ქმედებებში, რომლებისკენაც მოუწოდებს ყურანი.

სიტყვა სუნას მნიშვნელობასთან დაკავშირებული დაბნეულობა ისლამური იურისპრუდენციის ზოგიერთი სკოლის წარმომადგენელ სწავლულთა შორისაც წარმოიშვა. ასეთი სწავლულები სიტყვა სუნას ციტირებენ შუამავლის, მისი კომპანიონების (საჭაბ) და მემკვიდრეების (თაბი‘უნ) მიერ გაკეთებულ განცხადებებთან მიმართებით, როგორც წათელ დასტურს მისაბაძი და სასურველი ქმედებებისა, რომელთა ხელშეწყობასაც ისინი ცდილობდნენ. თუმცა ისინი სიტყვა სუნას იყენებდნენ მკაცრი ტერმინოლოგიური მნიშვნელობით, რომელიც ჰიჯრით მეორე საუკუნეში ჩამოყალიბდა. სხვაგვარად რომ ით-

ქვას, ამ სიტყვის ასოცირება დაიწყეს შუამავალთან დაკავშირებულ პრეცედენტებთან, ნაცვლად იმისა, რომ გაეგოთ ის უფრო ფართო შინაარსით, როგორც ნებისმიერი ქმედება, რომელიც მიბაძვას იმსახურებს.

აქედან გამომდინარე, იმის ნაცვლად, რომ სიტყვა სუნა გაგებული იყოს, როგორც ტექნიკური ტერმინი, რომლის არსშიც ჩანვდომა შეიძლება ზუსტად ფორმულირებული განსაზღვრებით, რაც გულისხმობს კონკრეტული, ლიმიტირებულ სპეციალიზაციის სფეროს, იგი აღქმული უნდა იყოს, როგორც ინტეგრალური, მოქნილი კონცეპტი, წარმოქმნილი ყოვლისმომცველი თეორიიდან. ის კი შეიცავს სიტყვა სუნას შესატყვის ყველა მნიშვნელობას, იქნება ეს ლექსიკურ განმარტება, ყურანისეული გამოყენება, ანდაც შუამავლის მიერ მისი გამოყენების სახე. სპეციალიზირებული ჟარგონის ლაბირინთში მისი დარჩენის ნაცვლად, ტერმინი სუნა უნდა განვათავსოთ შეთანხმებულ ჩარჩოში, რომელიც ტერმინს შესძენს მისთვის აუცილებელ მოქნილობას, რათა შეითავსოს ყველა მნიშვნელობა, რომლებთანაც იგი წარსულში იყო დაკავშირებული და ასევე ყველა ის მნიშვნელობაც, რომლებიც წარმოიშვება მომავალში.

სუნას კონცეპტან დაკავშირებული ცნებების სემანტიკური ევოლუცია

ტერმინ „ფიკაცია“ სემანტიკური ევოლუცია. ტერმინი „ფიკაცია“ დღეს ჩვეულებრივ გამოიყენება, როგორც „იურისპრუდენცია“ და ნიშნავს უბრალოდ გაგებას ან რეალიზაციას. სიტყვა „ფიკაცია“ გამოყენებოდა დანახვითა და დაკვირვებით მიღებული ცოდნის გამოსახატავად, ვინაიდან, ხედვა ან დანახვა წარმოადგენს ცოდნის ყვე-

ლაზე ძლიერ ფორმას. სამასოიანი ფუძე ფ-კ-ჰ ყურანში დაახლოებით ოცჯერ გვხვდება. ამ შემთხვევების უმრავ-ლესობაში ის ზმნა „გაგების“ ანმყო დროის ფორმაშია. გაგების ყველაზე ზუსტი ფორმა, რასაც წარმოადგენს გულის გაგება - გული, გამჭრიახობის ორგანო - ყურანში აღინიშნება სიტყვით ფიკრი.

ამასთანავე, გაგების პროცესი განვითარდა, რომელიც მოიცავს კითხვას, შემდეგ ცოდნასა და გაგებას, სადაც გაგება შესაძლოა ახლდეს ცოდნას, ან მიჰყებოდეს მას. აქედან იწყება ფიკრის გამოყენება. ცოდნა, რომელზეც საუბარია ყურანში (წიგნი) მის გამოყენებასთან დაკავშირებით, არის ის, რაც გადმოიცა (ჰადისი ან სუნა), ხოლო ფიკრი, იგივე გაგება, თან სდევს ან მიჰყება ცოდნას. ლინგვისტური ევოლუცია ამგვარად წარიმართა: ა) წერილობითი ტექსტის კითხვა; ხალხის, ანუ იგივე მკითხველების ან დეკლამატორების აქტივობა; ბ) ცოდნა, ზეპირად გადმოცემული სუნას ან რელიგიური ვალდებულების სახით, და გ) რეფლექსური გაგება და მიხვედრა, რომელიც ეფუძნება აღქმას. უნდა აღინიშნოს, რომ ჰიჯრით მეორე საუკუნეში, სიტყვა ფიკრი არ იყო გაგებული იმ შინაარსით, როგორითაც ის აღიქმება დღეს. იმამ მალიქის დროს (179 ჰიჯრით / 795 ას.წ.), ტერმინი ფიკრი გამოიყენებოდა უფრო ფართო მნიშვნელობით, ვიდრე თანამედროვეობაში, რომელიც შეიზღუდა ხალხის ქცევასა და სოციალური ურთიერთობების საკითხებამდე. სიტყვის მნიშვნელობის შემდგომი დავიწროება მისი მოქმედების სფეროში შეტანით, მოხდება მომდევნო ეტაპზე.

განვითარების შემდგომი ეტაპი უკავშირდება კონკრეტულ სწავლულთა კლასს, რომლებიც უფრო მეტ ყურადღებას აქცევდნენ მნიშვნელობებს, ტექნიკურ ტერმინებს და მათ განმარტებებს, მეცნიერებათა დაყოფასა და კლასიფიკაციას; ასევე სხვა ისეთ საკვლევ საკითხებს, რომლებიც არ იყო ფართოდ გავრცელებული ჰიჯაზში და რომელთაც იქ არ ექნებოდა დიდი გავლენა. შუამავლის თანამოაზრების დროს სიტყვა ფიკტი მისი უფრო სპეციალიზებული მნიშვნელობით არ გამოიყენებოდა. სიტყვა ფიკტს ჯერ კიდევ არ ჰქონდა შეძენილი სემანტიკური განზომილებები, რომლებითაც იგი დღევანდელობასთან ასოცირდება.

„რა’ხს“ კონცეპტის ევოლუცია. „რა’ის“ კონცეპტის ევოლუციის მაგალითში, სამასოიანი ფუძე რ-’-ა, საიდანაც მიღებულია არსებითი სახელი რა’ხ, ძირითადად დაკავშირებულია დანახვის ფიზიკურ აქტთან. ვინაიდან გონებით საშუალებით რაიმეს ცოდნა თვალით დანახულის ანალოგიურია, შესაბამისად, რ-’-ა-ს დერივაციული მნიშვნელობები მოიცავს აღქმას, შეცნობას, განხილვას, თვალსაზრისის მიღებას ან გამოხატვას (რა’ხ). ყოველივე ეს დაკავშირებულია გონების „თვალით“ დანახვასთან. სწავლულებმა უნდა ჩამოაყალიბონ მოსაზრება ან შეხედულება, მათი კულტურისა და განათლებისა დონის მიუხედავად. შესაბამისად, ტერმინი „რა’ხ“ სოციალური გამოყენების ეტაპებს გადიოდა იმ ეტაპების პარალელურად, რომელთაც გადიოდნენ რელიგიური ლიდერები.

ქალაქი მედინა იყო სახლი მათვაის, ვინ ცოდნა მიიღო თავად შუამავლისაგან და ვისი გამჭრიახობაც დაკავირვებაც წარმოადგენდა მათი მმართველობის სა-

ფუძველს. თავად იმამდა მალიქმა ერთხელ ერთ-ერთ მო-
საზრებაზე თქვა, „არ არის განხილვის ღირსიო“, აღწერა
რა ის, როგორც „რა’უნ მა ჰუვა რა’უნ.“ ეს მიუთითებს,
რომ იმამი მალიქი საკუთარ თავს კვალიფიციურად მი-
იჩნევდა იმისთვის, რომ გამოეთქვა და შეეფასებინა მო-
საზრებები. იბნ კუთაბაც მალიქს კვალიფიციურად მი-
იჩნევს საფუძვლიანი მოსაზრებების გადმოსაცემად. იბნ
რუშდმა იმამ მალიქს „მართლმორწმუნეთა მეთაური“
უწოდა მათ შორის, ვინც აზრის ფორმირებისა და
„კიდასის“ პრინციპების გამოყენების ან ანალოგიებით
განსჯის სფეროში მოღვაწეობდნენ. მედინა შესაძლოა
წინ უსწრებდა სხვა ისლამურ რეგიონებს სიტყვა „რა’ეს“
ზოგადი მნიშვნელობის გამოყენებით, რომელიც არ გა-
ნასხვავებს ერთ იურისტს მეორესაგან, ან ერთ მუჯთა-
ჰიდს ან სწავლულ განმმარტებელს სხვებისგან. მოსაზ-
რება ან შეხედულება განსხვავებული იქნება ინდივიდის
აზროვნების, გარემოსა და კულტურის მიხედვით, რომე-
ლიც აყალიბებს მავანის ცნობიერებას, ადგენს მის ორი-
ენტაციას და განსაზღვრავს მისი ფიქრის სიზუსტეს.

„ნასსის“ კონცეფციის ევოლუცია. სიტყვა „ნასს“,
სახელზმნა, მომდინარეობს სამასოიანი ფუძისგან ნ-ბ-ს,
რომელიც გამოყენებული იყო მრავალი მნიშვნელობით.
მათში შედის ანევა ან ამაღლება ფიზიკური და არაფი-
ზიკური მნიშვნელობით; რაღაცის დასასრული ან მიზანი;
დაკითხვა; განსაზღვრის ან განწესების აქტი; ინფორმი-
რება; მანიფესტაციის ან განმარტების აქტი. ტერმინი
მოიცავდა ყურანის ზოგად უნივერსალურ პრინციპს,
რომლის მნიშვნელობაც ნათელი ხდება თავისებურებე-
ბით, დეტალებითა და სუნაში არსებული პრაქტიკული

გამოყენების მაგალითებით. სწორედ იმამმა აშ-შაფი‘ იმამმა აამაღლა სუნა მთლიანობაში ყურანის პარალელურ სტატუსამდე. თუმცა, აშ-შაფი‘ იმ მხოლოდ ყურანს განიხილავდა ისლამური მოძღვრებისა და პრაქტიკის ფუძემდებლურ ტექსტს. მან ცალსახად განაცხადა, რომ ნებისმიერი ჰადისი, რომელიც კლასიფიცირებულია, როგორც ავთენტური და სანდო, უპირობოდ უნდა მომდინარეობდეს ყურანიდან.

სწავლულები სიტყვას „ნასს“ იყენებენ ყველაზე არაკვალიფიციური მნიშვნელობით, რათა აღნიშნონ უბრალოდ „ნებისმიერი გასაგები სიტყვა“. აზროვნების ყოველი კონკრეტული სკოლა ცდილობს დაიცვას თავისი აზრი მის გამოყენებასთან მიმართებაში. ამასთანავე, თუ გავითვალისწინებთ, რას გულისხმობს ტერმინი წმინდა ლინგვისტური თვალსაზრისით, ასევე აშ-შაფი‘ ისეულ მის გამოყენებას, სიტყვა „ნასს“ მკაფიოდ უკავშირდება მხოლოდ ყურანს, რომელიც ყოველივეზე მაღლა დგას და რომელიც ერთადერთი მიზანია. თუმცა, სწავლულები მასთან სხვა მნიშვნელობების ასოცირებასაც ახდენენ, რაც ბუნდოვანს ხდის ყურანსა და სუნას შორის ურთიერთმიმართების ბუნებას. ტერმინის „ნასს“ უბრალოდ „ტექსტად“ თარგმნით და, შესაბამისად, იმის დაშვებით, რომ ის შეიძლება აღნიშნავდეს თეორიულად ნებისმიერ განცხადებას ან დისკურსს, ჰადისის სწავლულებმა უწესრიგობას ჩაუყარეს საფუძველი.

თავი მესამე
**ყურანი, როგორც შემოქმედებითი
 წყარო და სუნა, როგორც პრაქტიკული
 განმარტება**

ვაჭხს კონცეპტი

ღვთის შუამავლის სუნა არის იმის განმარტება და პრაქტიკული გამოყენება, რაც გადმოცემულია ღვთის წიგნში. „ვაჭხ“ - ეს არის ღვთიური სიტყვა, რომელიც ღმერთმა ზეგარდმოავლინა თავისი მსახურის, შუამავლის გულსა და გონებაში. „ვაჭხ“ განმარტება შეიცავს სისწრაფის ელემენტებს და გამოიყენება კომუნიკაციის აღსაწერად, რომელიც მოიცავს სიმბოლოსა და ალუზიას, არავერბალურ ხმებს, სხეულის ჟესტებს ან ნაწერს. ამასთანავე, არსებითი სახელი „ვაჭხ“ ასევე გამოიყენება გზავნილის მნიშვნელობით, რომელსაც ღმერთი გადასცემს თავის შუამავლებს სხვადასხვა საინფორმაციო წყაროს მეშვეობით. იმის განსაზღვრით, თუ რა არის „გამოცხადება“ (ვაჭხ) ყურანთან, სუნასთან და ღმერთის ერთადერთობის დადასტურებასთან და ამის შედეგებთან (‘იღმ ათ-თავჭენდ) მიმართებით, ჩვენ შევძლებთ დავაზუსტოთ მოცემული კითხვის ფუნდამენტური ასპექტი - როგორ უნდა მივუდგეთ სწორად შუამავლის სუნას. ამ განმარტების საფუძველზე, შეგვიძლია შევასწოროთ მთელი რიგი სხვა ცნებებისა.

ვინაიდან, შუამავლის ფუნქცია იყო ღვთისაგან ზე-გარდმოვლენილი გზავნილის სხვებისათვის გადაცემა, მას არ ჰქონდა უფლება აეკრძალა ან გაემართლებინა

რაიმე, სანამ ამის შესახებ არ მიიღებდა ღმერთის ბრძანებას. ყურანის შინაარსი არის ის, რაც ღმერთს სურდა, რომ ყოფილიყო მის წიგნში დეტალების, სიტუაციებისა და მოვლენების სახით გამოცხადების ხანიდან მოყოლებული. ყურანის საშუალებით ჩვენ ინფორმირებული ვართ ყველა იმ სიტუაციისა და მოვლენის შესახებ, რომლებიც უკავშირდება გამოცხადების პერიოდსა ის-ლამური რელიგიის სრულქმნას. ამ თვალსაზრისით ყურანი განსხვავდება ყველა სხვა ისტორიული ჩანაწერისა თუ წყაროებისაგან, რომლებიც არ წარმოადგენენ ღვთისგან ზეგარმოვლენილ სიტყვას ან რომლებიც ადამიანებმა შეცვალეს ამა თუ იმ გზით.

წინა გამოცხადებებისგან განსხვავებით, რომლებიც არაბთა თემმა მემკვიდრეობით მიიღო მანამდე, ყურანი იყო ჩანერილი და განხილული შუამავლის სიცოცხლის პერიოდში უშუალოდ მისი დაკვირვების ქვეშ. ის არის უცვლელი და მუდმივად ღვთისგან დაცული. ამგვარად, ღმერთმა გააფრთხილა მუსლიმები და კაცობრიობა (ყურანი-16:116), არ გაითავისონ სხვა სამართლებრივი ტექსტი, გარდა ყურანის კანონებისა, რომლებიც იყო გამოცხადების პერიოდში იმის ზედამხედველობის ქვეშ ჩანერილი, ვისაც უშუალოდ ზეგარდმოევლინა ეს გამოცხადება.

სუნა და განმარტების თეორია

თეორიას, რომელზეც ჩვენ სუნას ჩვენებულ კონცეპტს ვაფუძნებთ და რომელიც განსაზღვრავს ყურანსა და სუნას შორის ურთიერთმიმართების ბუნებას, ჩვენ ვუწოდებთ „განმარტების თეორიას“ (ნაზარია ალბათან), სადაც სიტყვა „განმარტება“ (ბათა) გაგებულია

დაზუსტებისა და ახსნის ყურანისეული მნიშვნელობით. სუნა შეიძლება გავიაზროთ, როგორც ყურანისთვის მისადაგებული ინტერპრეტაციული განმარტება. როგორც ასეთი, იგი რჩება ყურანის ორბიტაში და მისი ავტორიტეტის ქვეშ. სუნა არასდროს არის ყურანისგან დამოუკიდებელი; პირიქით, ის მისგან განუყოფელია. ინტერპრეტაციის (იჯთიჲად), ანალოგიებით გასჯის (კიდას) და მათი დამხმარე დისციპლინებისაგან განსხვავებით, შუამავლის სუნა, თავისი ბუნებით, ერთდროულად არის განმარტებითი და დამაკავშირებელი. იმამ აშ-შაფი' ას მიხედვით, „ბადნის“ პროცესი მოიცავს ყურანის განმარტებას მისი გამოყენების და ინტერპრეტაციის მეშვეობით კონკრეტულ გარემოებებში. მისთვის პირველი ორი დონე მოიცავს ყურანის თვითგანმარტებას, მესამე მოიცავს იმ გზებს, რისი საშუალებითაც შუამავალმა სპეციფიკურად განმარტა ყურანის ზოგიერთი ადგილი და მეოთხე მოიცავს შუამავლის ქმედებებით გამოხატულ განმარტებებს, ანუ მისი სუნას. ყურანის თვითგანმარტება უეჭველად „ბადნის“ უმაღლესი დონეა. როგორც საბოლოო გამოცხადებას, ყურანს უპირველესობა ენიჭება არა მარტო ადრეული შუამავლების დატოვებულ მემკვიდრეობაზე, არამედ თავად მუჰადად (ს.ა.ს) შუამავლის სიტყვებსა და ქმედებებზეც. განმარტების დარჩენილი დონეების მიხედვით შუამავლის ქმედებები, სიტყვები და მტკიცებები არის ერთადერთი ტიპი, რომელიც სავალდებულოა მუსლიმებისათვის.

სუნას გამოკვლევა ყურანის მიხედვით

ზოგიერთმა სწავლულმა ჰადისები სამ კატეგორიად დაყო: ჰადისები, რომლებიც ყურანთან სრულ თანხმობა-

შია; რომლებიც ყურანს რაიმეს ამატებენ, რომელთაც მუსლიმებმა უნდა მიპაძონ; და ბოლოს ის ჰადისები, რომელნიც ყურანს ეწინააღმდეგება ანუ მიუღებელია. თუმცა, „უსტლის“ სკოლის სწავლულები არ განასხვავებდნენ შუამავლის სიტყვებსა და ქმედებებს, რომლებიც თავისი ხასიათით იყო ან არ იყო კანონიერი. სუნას თემებთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას, რომლებზეც შესაბამისი სკოლის იმამებს აქვთ მოსაზრება დაფიქსირებული, მათ უნდა შეეცვალათ ჰადისის გადმომცემების პოზიცია, რათა მათთან თანხვედრაში ყოფილიყო, მაშინ როდესაც ჰადისის გადმომცემები ისეთი ტერმინების განმარტებებს ითავსებდნენ, როგორებიცაა „საჭირო“ (ავთენტური), „ჰასან“ (კარგი), „მაშკურ“ (სახელგანთქმული), მუ'ალლალ (დეფექტური/ნაკლული), მუდალლას (დაფარული) და მუ'ან'ან (რომელიც შეიცავს კავშირს 'ან გადმომცემთა ჯაჭვში). იმავდროულად, მათ სუნას სხვადასხვა ტიპები განურჩევლად დაახარისხეს, როგორც „კანონიერი“. უფრო მეტიც, სუნას არსის გაფართოვებით, როგორც ყურანის ძალაუფლებისაგან დამოუკიდებელი წყაროსი, ამ სწავლულებმა კარი გაუხსნეს ისეთ წესებს, რომლებიც შეიძლებოდა ჩაგვეთვალა, როგორც დაუსაბუთებელი ან უსარგებლო. ასე, მაგალითად, თუ შუამავლის განცხადება მიუთითებდა, რომ რაღაც კონკრეტული ქმედება იყო მეტ-ნაკლებად ნეიტრალური, მისი კლასიფიცირება ხდებოდა, როგორც „დასაშვებისა“ (მუბაჟ), და, აქედან გამომდინარე, ყოველივე ამან გამოიწვია დაბნეულობა.

მუსლიმებმა დაიწყეს იმ ფაქტის უგულებელყოფა, რომ ერთად აღებული ყურანის და სუნას მიზანია საზო-

გადოების ჩამოყალიბება და აყვავებული ცივილიზაციის შექმნაში ჩვენი დახმარება. სუნა უფრო ხელმისაწვდომი წყარო იყო, ვიდრე ყურანი, რადგან ის პირდაპირ ეხებო-და მოვლენებს, ინდივიდებს და სიტუაციებს. თუმცა, ყურანისა და სუნას ყოვლისმომცველი, ინკლუზიური წა-კითხვა არის გამოცხადების სრული არსის მთავარი, უც-ვლელი ფასეულობების მიზნის აღმოჩენა, რომელიც ადამიანის მთელ სამყაროსთან ურთიერთობას უკავშირ-დება. მთავარი და უცვლელი ფასეულობები მოიცავს, მაგალითად, ღმერთის ერთადერთობას (ათ-თავჭედ), თვითგანწმენდის აუცილებლობას (ათ-თაზედ), პროგრე-სისა და კეთილდღეობის სიკეთეს (ალ-‘უმრან). მათში ასევე შედის ისეთი ფასეულობები, როგორიცაა სამარ-თლიანობა, თავისუფლება და ადამიანური მოთხოვნილე-ბების სრული დაკმაყოფილება, დაწყებული ყველაზე ძი-რითადი მატერიალური საჭიროებიდან უფრო აბსტრაქ-ტული, სულიერი და ესთეტიური მოთხოვნილებებით დამ-თავრებული.

ზოგიერთი „ისნადზე“ დაფუძნებულ მეთოდოლო-გიას მიიჩნევს ავთენტური და სანდო ჰადისის დემონ-სტრირების უბადლო საშუალებად. ეს მოსაზრება ეფუძ-ნება იმ მტკიცებას, რომ არაფერი არსებობს, რაც ჰადი-სის ფაქტობრივი შინაარსს უპირობოდ მისაღებს ან მას არასანდოდ აქცევდა. თუ ეს ვარაუდი სწორია და „ისნადის“ გამოყენება გამართლებულია, აღარაფერი იქ-ნება სათქმელი ჰადისის შესახებ. როდესაც ჰადისის ში-ნაარსი გაკრიტიკებულია მისი სიზუსტის, საკუთრივ ჰა-დისების გადმომცემთა მიერ შემუშავებული ცოდნის კრიტერიუმის თვალსაზრისით, მაშინ ეს კრიტერიუმი შე-

იძლება ნაყოფიერად იყოს ინტეგრირებული „ისნადზე“ დაფუძნებულ კრიტიციზმში და შეავსოს იგი. ასეთ შემთხვევაში, სწავლულებს უნდა შეესწავლათ „ისნადი“ ანუ გადმომცემთა ჯაჭვი, რათა დაედგინათ, თუ რამდენად საიმედო და სარწმუნოა იგი. შემდეგ მათ უნდა განეხილათ „მათნი“, ანუ ჰადისის ძირითადი ნაწილის შესატყვისობა ისლამის წარმმართველ ფასეულობებზე დაფუძნებული ავთენტურობისა და სანდოობის მკაცრი სტანდარტებით. ამ ქმედებით, ჩვენ დავინახავთ, რომ სუნა არის არა ცალკეული, კავშირში არმყოფი ტექსტების კრებული, არამედ ყურანის მოძღვრებისა და მისი ფასეულობების გამოყენების საშუალება. დღევანდელ უთანხმოებათა უმრავლესობა წარმოადგენს „ჰადისის“ კრიტიკის ასეთი მეთოდების უგულებელყოფის შედეგს. ამჟამინდელი ჩიხიდან გამოსვლის ერთადერთი გზაა როგორც „ისნადის“, ისე „მათნის“ კრიტიკულად განსჯა. ორივე მეთოდოლოგია უნდა შეფასდეს იმ ცოდნის ფონზე, რომელიც ხელმისაწვდომი გახდა ამ ტერმინების წარმოქმნის ისტორიული პერიოდების განმავლობაში.

თავი მეოთხე
ნარატივის გავრცელების როლი -
ისტორიული მიმოხილვა

თაობა, რომელიც მოწმე იყო ყურანის გამოცხადებისა აქ განხილული პირველი თაობა არიან ისინი, ვინც მოწმე იყო ყურანის ზეგარდმოვლენისა. მომდევნო თაობებში შედის გადმომცემთა თაობა, სამართალმცოდნეთა თაობა და იმიტაციისა ან ტრადიციის (თაკლიდ) თაობა (ან თაობები). მიზანი არის ის, რომ შეიქმნას მკაფიო ისტორიული პერსპექტივა ერთმანეთის მონაცემები მუსლიმი თაობების ყურანისადმი დამოკიდებულების და შუამავლის სუნაში მისი განმარტების მიმართ. თუ შუამავლის მეგზურობა მისი გარდაცვალების შემდეგ იქნებოდა ისე გამოყენებული, როგორც მისი სიცოცხლის პერიოდში, მაშინ კითხვა, თუ როგორია ყურანის მიმართება სუნასთან, არასდროს დაისმებოდა.

იმ თაობის ნარმომადგენლები, რომელიც ყურანის ზეგარდმოვლენის მოწმე იყო, მიჩვეულნი იყვნენ იმას, რომ შუამავალი თავად კითხულობდა მისთვის ზეგარდმოვლენილ ყურანის აიებს. მისი მოძღვრება, ყურანის მისეული გაგება, მის მიერ ყურანში დავანებული სიბრრძნის იმ გზით გამოყენება, რომლითაც პასუხი გაეცემოდა მათ კითხვებს, ანესრიგებდა მათ ურთიერთობებს, ასწავლიდა მათ, თუ რა არის დაშვებული და რა — აკრძალული, ეხმარებოდა მათ, გაერჩიათ კარგი ცუდისაგან, ხოლო ჭეშმარიტი - სიცრუისგან. იყო სიტუაციები, როცა შუამავალს ნაბრძანები ჰქონდა განეხილა ისეთი საკითხებიც, რომლებზეც არავის უკითხავს, როგორც

ნაჩვენებია მაგალითად, “ალ-ან‘ამის” სურაში (ყურანი-6:151-154). ის ემორჩილებოდა გამოცხადებას და გადას-ცემდა მას სხვებს, განმარტავდა მას და ასწავლიდა სხვებს, თუ როგორ ექციათ იგი კონკრეტულ ქმედებებად. ამგვარი გაგება მიღებული იყო კითხვის გარეშე, რადგან არც ერთი ამ თაობიდან არ განიხილავდა სუნას სხვაგვარად, თუ არა ყურანში არსებული წესების განმარტებად.

ჰადისის „მათნის“ ან „ტექსტის“ კრიტიკა ხდებოდა, როგორც ეს ციტირებული იყო ალ-ბუხარისთან, მუს-ლიმთან და სხვებთან და ეხებოდა ფატიმა ბინთ კას, რომელსაც ქმარი სამუდამოდ გაშორდა და ღვთის შუა-მავალმა, სავარაუდოდ, არ დართო საცხოვრებლისა და საარსებო წყაროს მიღების ნება. ამ მაგალითში, ‘უმარ იბნ ალ-ხატტაბი ამბობდა:

„ჩვენ არ უგულვებელყოფთ ღვთის წიგნსა და ჩვენი შუამავლის სუნას ქალის რაღაც ნათქვამის გა-მო, რომელსაც, როგორც ჩვენთვის ცნობილია, ახლა დაავიწყდა (ის, რაც მას ადრე გაიგონა), და რომელსაც აქვს როგორც საცხოვრებელი ადგი-ლი, ასევე მატერიალური მხარდაჭერა. როგორც თქვა ღმერთმა: „როცა თქვენ... გაეყრებით ცო-ლებს...არ გააძევოთ ისინი თავიანთი სახლებიდან; არც ისინი წავიდნენ, გარდა თუ არ ჩაუდენიათ მათ აშკარა მრუშობა...“ (ყურანი- 65:1).

სხვა მაგალითში, თანამოაზრებისგან ‘პ’იშამ და-უშვა გამონაკლისი, ყურანის წინააღმდეგ ნარატივის შე-მოწმებით და ამის საფუძველზე მათი შესწორებით. მან გააპროტესტა ჰადისი, რომლის თანახმად გარდაცვლი-ლი ადამიანები იტანჯებიან, როდესაც თავიანთი ოჯახის

წევრები თავიანთ დანაკარგს მოთქმით დასტირიან (ყურანი-6:164).

ამ თაობის ხანაში შუამავლის ქმედებები ორ კატეგორიად იყოფოდა. პირველი შედგება ისეთი ქმედებებისგან, რომლებიც საჭირო იყო შუამავლისათვის, რომ განეხორციელებინა ყურანის ცხადი დირექტივები, როგორიცაა: „იღოცეთ გამუდმებით და გაიღეთ ქველმოქმედება...“ (ყურანი-2:43). ქმედებების ეს კატეგორია ქმნის შუამავლის მისის ნაწილს, გადასცეს ღვთიური გამოცხადება, რომელიც მას ზეგარდმოევლინა. მეორე კატეგორია შედგება იმ ქმედებებისაგან, რომლებიც შუამავალმა პირადი ინიციატივით განახორციელა არსებული სიტუაციის საპასუხოდ. ეს კატეგორია შეიძლება შეიცავდეს შუამავლის მიერ წარმოდგენილ ინტერპრეტაციებს, რომლებიც ეფუძნება სიტუაციის მისეულ შეფასებას. ასევე ამ კატეგორიას მიეკუთვნება მისი სახასიათო ქმედებები, ან მის მიერ საკუთარი ბუნებრივი ტემპერამენტის გამოხატვა.

გადმომცემთა თაობის დაბადება

შუამავლის გარდაცვალების შემდეგ, ისლამურ დაპყრობებთან ერთად, არაბეთის ნახევარკუუნძულის მიღმა მცხოვრებმა ხალხებმაც დაიწყეს ისლამის მიღება. დაიწყო ახალმა კულტურების ზეგავლენის, როგორც ნეგატიურის, ისე პოზიტიურის, გამოვლენა იმ მოსაზრებათა და მოთხოვნათა სახით, რომლებიც უცნობი იყო ყურანის ზეგარდმოვლენის მოწმე თაობისთვის. როდესაც მუსლიმთა პირველი თაობის წარმომადგენლები თანდათანობით გარდაიცვალნენ, ხალხი ყურანის გარდა სხვა სა-

ხელმძღვანელოს საჭიროების წინაშე დადგა, რათა გადა-
ენყვიტათ ახლად წამოჭრილი კითხვები და პრობლემები.
აქედან გამომდინარე, ხალხმა დაიწყო გადმოცემების და
ჩანაწერების შეგროვება, რათა მიჰყოლოდნენ ყველა-
ფერს იმ ფორმით, როგორც „რასული“ თავის სიცოც-
ხლები აკეთებდა.

ერთ-ერთი პირველი სისტემური მცდელობა ჰადი-
სების ჩაწერისა განხორციელდა ხალიფა ‘უმარ იბნ ‘აბდ
ალ-‘აზიზის (პიჯრით 101/ახ. წ. 740), ხოლო მის წინ მა-
მამისის, ‘აბდ ალ-‘აზიზ იბნ მარვანის (ჰ. 86 /ახ.წ. 705)
მიერ — მისი დროის სწავლულებთან ერთად. ისინი
ცდილობდნენ მიეღოთ სუნა, როგორც სხვადასხვა სა-
მართლებრივი აზროვნების სკოლის შემცვლელი სულ
უფრო მზარდი დისპუტების პირობებში. მათ სჯეროდათ,
რომ თუ შეაგროვებდნენ ყველა ჰადისა, რომლებიც ეხე-
ბოდა შუამავლის სიტყვებსა და ქმედებებს, როგორც
ყურანის მნიშვნელობათა განმარტების და მათი გამოყე-
ნების მითითების საშუალებას, ეს ხელს შეუშლიდა მუს-
ლიმების განსხვავებულ სექტებად, სკოლებად, ფრაქციე-
ბად და კლასებად დაყოფას. შედეგად, წარმოიქმნა „გად-
მომცემთა თაობა“, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავ-
დებოდა წინმსწრები თაობებისგან. მოსალოდნელი უარ-
ყოფითი ზემოქმედების შიშის გამო, პირველი ხალიფა,
აბუ ბაქრი, ყოყმანობდა ჰადისების შეგროვებას და
‘უმარ იბნ ალ-ხატტაბმა ჰადისების შეგროვების მერე
მალევე გაანადგურა ბევრი მათგანი.

სამართალმცოდნების და იურისპრუდენციის თაობა

ფიკჰის ანუ იურისპრუდენციის ცნება ხმარებაში დამკვიდრდა 40 წელს ჰიჯრით / ახ. წ. 660 წელს შუა-მავლის სიტყვებისა და ქმედებების შესახებ გადმოცემების გავრცელების საპასუხოდ. თუმცა, იმის ნაცვლად, რომ იგი თეოლოგებსა და იურისტებს შორის შეუთან-ხმებლობის მოგვარების პრეცენდენტი გამხდარიყო, ეს გადაიქცა ახალ იარაღად სხვადასხვა რელიგიური თვალ-საზრისის მომხრეების შორის ომში, სადაც თითოეული მათგანი იცავდა თავისი მიმდინარეობის, სკოლის ან კლასის სასარგებლოდ არსებულ ნარატივს. როდესაც დაიწყო ჩანწერის პროცესი, ხალხმა დაიწყო ჰადისის ნა-რატივზე დაყრდნობა არა მხოლოდ ყურანის გაების და გამოყენების თვალსაზრისით, როგორც ეს გააკეთა შუა-მავალმა, არამედ ყურანის პარალელურ ისლამური კა-ნონმდებლობის წყაროდ.

მაშინ გავრცელდა მცდარი ცნება, რომ ყურანი არ შეიცავდა დაახლოებით 500 აიაზე მეტს, რომლებიც ეხე-ბოდა სამართლებრივ წესებს, და სწორედ ამ აიებზე უნ-და გაემახვილებინა სწავლულთა უმრავლესობას ყურად-ღება. ამ აიებს შორის, სწავლულები ამჟღავნებდნენ ისე-თი აიაებით შემოზღუდვის ტენდენციას, რომლებსაც მკაფიო პოზიტიური ან ნეგატიური კონოტაცია აქვთ (გაკეთება, არ გაკეთება). მათში შედიოდა ღვთისმსახუ-რების წესები, საოჯახო საქმეები, ყოველდღიური მორი-გებები, კანონით დადგენილი სასჯელები და სასამარ-თლო, სამართლებრივი ჩვენებები და ა.შ. ამ პროცესში სუნა გახდა ისლამური ცხოვრების თვითკმარი სახელ-მძღვანელო. ზოგიერთი იმდენად შორს წავიდა, რომ ყვე-

ლა ჰადისის კლასიფიკაცია მოახდინა სამართლებრივი მიწერილობების წყაროებად, მათ შორის ისეთებისაც კი, რომლებიც არ შეიცავდნენ არანაირ მიწერილობებს მკაფიო ფორმით.

ხალხისთვის ცხადი იყო ყველაფერი, რაც თქვა ან გააკეთა შუამავალმა, მანამ, სანამ ყურანი არ ითვლებოდა იმაზე მეტად, ვიდრე მტკიცებულებების ტექსტუალურ წყაროდ, რომელსაც ციტირებდნენ ღვთისმეტყველები, „უსტლის“ სკოლის მკვლევრები, იურისტები და სხვები. ამ პერიოდის განმავლობაში სწავლულთა უმრავლესობას მიაჩნდა, რომ სუნას შეეძლო ყურანის გაპათილება იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის მიიღებდა ცალკეული ჩანაწერის ფორმას (ხაბარ პჰად). სწავლულებმა თავიანთი პოზიციის გასამართლებლად სხვა განაცხადებიც გაავრცელეს, რომლებითაც მიიჩნევდნენ, რომ ყურანი, როგორც წიგნი, არ იყო დაცული ნებისმიერი სახის გაყალბებისგან (ყურანი- 41:42). ზოგიერთი ამტკიცებდა, ყურანის აიები შეზღუდული მნიშვნელობის მატარებელია, მაშინ როდესაც სიტუაციები, რომლებიც ყურანმა უნდა მოაგვაროს, უსასრულოა. შესაბამისად, მათ დაასკვნეს, რომ საჭირო იყო მეტი მტკიცებულება, რათა შევსებულიყო ის, რაც მათ არასწორად წამოედგინათ, როგორც საკანონმდებლო სიცარიელე. ამ პერიოდის დასასრულს, მუსლიმმა საზოგადოებამ აღმოაჩინა, რომ ნარატიული ჩანაწერების და ტრადიციების ზღვაში იხრჩობოდა.

იმიტატორი თაობები

როდესაც სამართლებრივი სკოლები საბოლოო ფორმით ჩამოყალიბდა, ტრადიციონალისტებმა (ალ-მუ-კალლიდური) დაიწყეს თავიანთი შესაბამისი იმამების მოძღვრებების მონური მორჩილებით მიყოლა, მათი ლირსებებისთვის ხოფბის შესხმით და ახალი რეკრუტების მოზიდვაზე მუშაობით თავიანთი აზროვნების სკოლებში. რეალურად, ისეთებიც იყვნენ, რომლებიც იმდენად შორს წავიდნენ, რომ განიხილავდნენ თავიანთი იმამების განცხადებებს, თითქოსდა ისინი წმინდა წერილი იყო, ბჭობდნენ, იყო თუ არა ისინი ურთიერთსაწინააღმდეგო, ენიჭებოდა თუ არა რომელიმეს უპირატესობა სხვებთან შედარებით, შესაძლებელი იყო თუ არა ერთ მტკიცებულებას გამოერიცხა მეორე და ა. შ. ბევრი მათგანი უფრო სუნას მიმართავდა, ვიდრე ყურანს, იმ მოსაზრებიდან გამომდინარე, რომ სუნა მოიცავდა ყურანს და მჭიდროდ უკავშირდებოდა მას. შემდეგ მათ დაიწყეს ჰადისების გამოყენება, როგორც მტკიცებულებათა ტექ-სტებისა თავიანთი იმამების მოძღვრებათა მხარდასაჭერად, რის შედეგადაც უფრო მეტ ყურადღებას აქცევდნენ თავიანთი იმამების იურიდიულ ნაშრომებს, ვიდრე სუნას. დროთა განმავლობაში, ამ იმამების იურიდიული ნაშრომები ისე ფართოდ გავრცელდა, რომ ვინმეს შეიძლებოდა ეფიქრა, თითქოსდა ისლამური სამართალი მხოლოდ მათი მოძღვრებებისგან შედგებოდა.

ზოგიერთი ჰადისი ეჭვგარეშედ გაყალბებული იყო პოლიტიკური ბრძოლების კონტექსტში და ლეგიტიმურობის მოპოვებისთვის ქიშპის შედეგად, იმ დავების ჩათვლით, რომლებიც წარმოიქმნა არაბებისა და არაა-

რაბებს შორის, სტატუსის, აღიარებისა და ზეგავლენის მიღწევის გამო. აქედან გამომდინარე, მეტოქეებმა მხარი დაუჭირეს იმ გადმოცემებსა და ჩანაწერებს, რომელთა-გან ზოგი შეემნილი იყო კონკრეტული ქალაქების, ტო-მების, ხალხების, იმამების ან მკვლევრებისთვის ხოტბის შესასხმელად, ხოლო შემდეგ ფართოდ გავრცელდა. გადმოცემის და მასთან დაკავშირებული მეთოდების სტატუსის ამაღლების მიზნით, ჰადისების ზოგიერთმა შემსწავლელმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ყურანი ასე-ვე იყო გადმოცემული. ამგვარად, ისინი ცდილობდნენ ლეგიტიმაციის მოპოვებას იმასთან დაკავშირებით, რაც მოგვიანებით ცნობილი გახდა, როგორც „დეკლამაციე-ბი“ (ალ-კირა'ჰთ) და დეკლამაციების მეცნიერება ('ილმ ალ-კირა'ჰთ), რამდენადაც ეს დამოკიდებული იყო გად-მოცემაზე. ხალიფა 'უსმან იბნ აფფანმა შეადგინა ყურა-ნი, რომელიც შემდეგ ცნობილი გახდა როგორც მთავარი ასლი (ალ-მუსტაფა ალ-იმამ), რომელმაც მუსლიმური თე-მის ერთსულოვანი აღიარება მოიპოვა. ხალიფა 'უსმანი და ისინი, ვინც მას ეხმარებოდნენ ყურანის შედგენაში, ახსენებენ ამ მთავარი ასლის ერთ სიტყვას, რომელიც წარმოითქმებოდა მრავალი განსხვავებული სახით. ლვთის წიგნის თანასწორი არაფერია, და წარმოუდგენე-ლია, რომ განვიხილოთ იგი, როგორც შესადარებელი, პარალელური ან სხვა ნებისმიერ ერთეულთან შედარე-ბას დაქვემდებარებული. ეს სხვა არაფერია, თუ არა უტყუარი, უეჭველი და უცვლელი ჭეშმარიტება.

თავი მჩხუთე
**სუნას ქრონოლოგია და მისი ისტორიული
კონტექსტი**

**სუნას ქრონოლოგია და ეპრაული და ბერძნული
კულტურის გავლენა**

მუჰამად (ს.ა.ს) შუამავალის მოვლინებამდე არაბეთის ნახევარკუნძულზე მცხოვრები არაბები არასდროს ყოფილან „ნაბრძა“ და „რასულის“ მათ რიგებში გამოჩენის მოწმენი. გასაკვირი არ არის, რომ შუამავლის სიკვდილით გამოწვეული შოკი ბიძგი გახდა სამი ჯგუფის ჩამოყალიბებისთვის. პირველი შედგებოდა პოლიტიკური მოღვაწეებისგან, რომლებმაც გამოხატეს შუამავლისადმი უშრეტი სიყვარული სახალიფოს შექმნით მისი მისისი შესაბამისად. მეორე ჯგუფი შედგებოდა მისტიკოსი და ასკეტი მუსლიმებისაგან, რომლებმაც სწამდათ, რომ მუჰამად (ს.ა.ს) შუამავლის საშუამავლო მისია უნდა გაგრძელებულიყო სულიერების და სინმინდის ფორმით. მესამე ჯგუფს წარმოადგენდნენ ისინი, ვინც მოგვიანებით ცნობილი გახდა, როგორც ‚ულამპ‘ (ალ-‘ულამპ’, ანუ „ვინც იცის“, მეცნიერები), მათ შორის სქოლასტიკოსი თეოლოგები, სამართალმცოდნები და ჰადისის სწავლულები. ამ ჯგუფის წევრებმა და მისტიკოსმა მუსლიმებმა ტერმინი სუნას მნიშვნელობა იმგვარად შეცვალეს, რომ ის უკვე არა მხოლოდ ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებაში ყურანის გამოყენებას და მორჩილებას ნიშნავდა, არამედ ეს გულისხმობდა ვირტუალურად თითქმის ყველაფერს, რაც თქვა ან გააკეთა შუამავალმა. როდესაც შუამავლის თანამოაზრები გაიფანტნენ სხვადასხვა ქა-

ლაქში, ჰადისის გადმომცემებმა დაიწყეს მოგზაურობა ადგილიდან ადგილზე, რათა გაეგრძელებინათ ჰადისების შეგროვება და ჩაწერა. ამ დროისათვის სუნა უკვე საჭირო იყო არა ყურანის გაგებისა და გამოყენებისათვის, არამედ თავად მისივე არსებობისთვის, იმ უბრალო მიზეზიდან გამომდინარე, რომ ის წარმომდგარი იყო შუამავლისგან. იმ დროისთვის ყურანზე დაფუძნებული კანონმდებლობის გვერდით შეიქმნა სუნაზე დაფუძნებული კანონმდებლობა.

როდესაც ღვთის შუამავალმა მიიღო მოწოდება და ზეგარდმოევლინა ყურანი, იგი შეეცადა, ყურანის სახელმძღვანელო მისის შესაბამისად, იუდეველებისა და ქრისტიანების ყურადღების მიპყრობას იმ საერთო საფუძვლებზე, რომელსაც ისინი იზიარებდნენ ისლამთან. მან ხაზგასმით აღნიშნა ის ფაქტი, რომ იგი მოვლინებული იყო წინარე გამოცხადებების ნაწილობრივ შესწორებისა და ნაწილობრივ დადასტურებისთვის, ხოლო მის მიერ მოწოდებული გამოცხადება იყო იმ გზავნილის გაგრძელება, რომელიც გაავრცელა წმინდა აპრამმა, შუამავალთა მამამ. თუმცა, მისი აღიარების მოპოვების მცდელობები დიდწილად ამაო გამოდგა. არაბების საკუთარი წმინდა წერილების ნაკლებობამ და ისლამის მოვლინებამდე არსებულ კულტურას შორის ურთიერთქმედებამ, საფუძველი ჩაუყარა ისლამისათვის უცხო იდეების მიღებასა და კონცეპტუალიზაციას. ერთი ასეთი იდეა იყო დეტერმინიზმი (აღ-ჯაპრიელი), რწმენა იმისა, რომ ადამიანებს არ გააჩნიათ ნების თავისუფლება და ყველაფერი, რასაც ვაკეთებთ, ბედისწერისგან წინასწარ განსაზღვრულია. შემდეგ წარმოიქმნა მთელი რიგი ფი-

ლოსოფიური და თეოლოგიური თავსატეხებისა: დეტერ-
მინიზმიდან (ალ-ჯაბრიდა) წინასწარ განსაზღვრულო-
ბამდე (ალ-კადარიდა) და ღვთიურ მმართველობამდე
(ალ-ჭაჰიდა ალ-ილაჰიდა).

სწორედ ამ პერიოდის მანძილზე, განსაკუთრებით
მთარგმნელობითი საქმიანობის ინიციორების შემდეგ აბასი-
ანთა სახალიფოში ახ.წ. მერვე საუკუნის ბოლოს და მეც-
ხრე საუკუნის შუა წლებში, დაიწყო მუშაობა უფრო მკა-
ფიო განსხვავებებისა და დეფინიციების ჩამოსაყალიბებ-
ლად ისლამურ მეცნიერებებში. თუმცა, ამ კონტექსტში
მუსლიმი სწავლულები განიცდიდნენ არისტოტელესეული
ლოგიკის გავლენას, რომელიც თავის მხრივ, დაკავებულია
ამა თუ იმ საგნის არსის განსაზღვრით. არისტოტელეს
მიდგომის ჩასმამ ამ კონცეპტის დეფინიციაში, რეალურად
ქაოსი დათესა ისლამურ აზროვნებაში. ამან ბუნდოვანება
შეიტანა ისლამური კვლევების ცველა სფეროში არსებული
ტერმინებისა და ცნებების დეფინიციებში, ჰადისის მეცნი-
ერებების ჩათვლით. შესაბამისად, მრავალი ცნება, მათ
შორის სუნა, განისაზღვრა ისეთი სახით, რომელიც არ ემ-
თხვევა მათ ყურანისეულ გაგებას.

ჰადისების რომლებიც ეხება ნარატიული გადმოცე- მების ჩანერას, გადახედვა

თაობა, რომელიც შუამავლის თანამედროვე იყო,
ცნობილია, როგორც „მიმღები თაობა“. მისი მომდევნო
თაობა იყო „გადმომცემთა თაობა“, შემდეგი თაობა კი -
„სამართალმცოდნეთა თაობა“. ანალოგიურად, ისლამის
მეცნიერებებმა გაიარა სამი ფაზა: „ზეპირსიტყვიერების
კულტურის“ „შეგროვებისა და ჩანერის ფაზა“, და „დახა-
რისხებისა და კატეგორიზაციის“ ფაზა. შუამავლის თანა-

მოაზრებმა (ასპაბები-საპაბები) იცოდნენ, რომ აუცილებელი იყოს ყურანის მიწერილობების დაცვა და შუამავლის წინამძღოლობის ყურანთან სწორი მიმართებით აღქმა. ისინი ცდილობდნენ განემარტათ, თუ როგორ იყენებდა და წარმოთქვამდა შუამავალი ყურანს, როგორ ასწავლიდა მას სხვებს და იყენებდა მათი პიროვნული სრულყოფისათვის. ამავდროულად, ისინი ცდილობდნენ, რომ ხალხი არ წაეყვანათ ღვთური წიგნის საპირისპიროდ.

ღმერთს არცერთი ადამიანისთვის არ დაუკისრებია ყურანის დაცვის ამოცანა, თვით მისი შუამავალისთვისაც კი. პირიქით, მან თავის თავზე აიღო ეს ვალდებულება. ყურანი საკუთარ თავს ინახავს თავისი მოწესრიგებულობით, შეუდარებლობით და მჭერმეტყველებით, რასაც „შიგნიდან დაცვა“ ეწოდება. შუამავალმა ხაზი გაუსვა ყურანის ჩანერის მნიშვნელოვნებას, იმგვარდავე ხაზი გაუსვა, რომ სუნას ჩანერა აუცილებელი არ იყო. ჰადისის ნარატივები წარმოიქმნა ახლად წარმოშობილ კითხვებზე ჰასუხების გასაცემად. მართლმორწმუნე ხალიფების ეპოქის დასრულების შემდეგ, რელიგიურ-ინტელექტუალური და პოლიტიკურ ხელმძღვანელობა ერთმანეთისგან განცალკევდა. ხელისუფლების სადაცეები ეპყრათ უმაიანთა კლანის ლიდერებს. მათი უამრავი ნარატივის მარაგებიდან გამომდინარე, რომლებიც უკავშირდებოდა ისლამური იურისპრუდენციის სამართლიან გაგებას, საზოგადოებისთვის არსებობდა მოწოდება, რომ გადაცემულიყო შუამავლის ცხოვრების ეპიზოდებიდან უფრო და უფრო მეტი ნარატივი და შემუშავებულიყო იურიდიული ნორმები ახლად ჩამოყალიბებული სოციალური პირობების საპასუხოდ. შედეგად, ჰადისის ნა-

რატივები სულ უფრო მეტად გადაიხლართა იურიდიულ და თეოლოგიურ საკითხებთან.

კითხვა, რომელიც ახლა ჩნდება, შემდეგია: შეიძლება თუ არა ტერმინ სუნას გამოყენება იმის აღსანიშნად, რაც იყო შუამავალთან დაკავშირებული სხვადასხვა გამონათქვამებისა თუ ქმედების ჩანაწერის პროცესის შედეგი? ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას, პირველ რიგში, საჭიროა იმის გახსენება, რომ სუნას შეგროვების პროცესი უზარმაზარი კოლექტიური ძალისხმევის შედეგია. თუმცა, საბოლოო ჯამში, იგი ადამიანური ძალისხმევის შეზღუდულობას, გაურკვევლობასა და სპეცულაციას ექვემდებარება. გასათვალისწინებელი ფაქტია, რომ ჩაწერის პროცესი დაიწყო მხოლოდ ჰიჯრით მეორე საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში და არ დამთავრებულა ჰიჯრით მესამე საუკუნემდე. ჰირველ რიგში, ისლამური სამართლებრივი ნორმების რაოდენობა მრავალგზის გაიზარდა, და ეს მემკვიდრეობა, რომელიც ამიერიდან ერთი თაობიდან მეორეს გადაცემოდა, ყველა მუსლიმის რელიგიური სწავლებისა და აღზრდის ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი გახდა. ამას გარდა, შუამავლისა და მისი კომპანიონების ცხოვრების დროს სუნა შედგენილი იყო ალლაჰის შუამავლის კონკრეტული პრაქტიკული ნამოღვანარის მიხედვით, რაც ეფუძნებოდა მისთვის ზეგარმოვლენილ ღვთიურ გზავნილს. შემდგომში სუნას კონცეპტი შეივსო და მოიცავდა ყველაფერს, რაც გადმოცემით ნათქვამი, ნამოქმედარი ჰქონდა შუამავალს და იმასაც კი, რაც მის მიერ მოწონებული იყო და მათგან არაფერი ხდებოდა ცარიელ ადგილზე. ეს არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი განსხვავების ასპექტი, რომელიც უნდა გაკეთდეს ყურანის ტექსტს, რომელიც უმე-

ტესწილად შეიცავს „უნივერსალურ პრინციპებს და „საშუალო ტექსტს“, რომელიც უმეტესწილად გამოყენებულია კონკრეტული, ცვალებადი გარემოებების შესაბამისად, შორის.

ყურანი შუამავალს არაერთხელ მოუწოდებდა, ლი-ად განეცხადებინა, რომ ის იგი მხოლოდ ადამიანია. შესაბამისად, მან იზრუნა, რომ ხაზი გაესვა ამ ფაქტისთვის. აქედან გამომდინარე, შუამავლის ადამიანურობა ახდენს მისი ბევრი სიტყვისა და მოქმედების დისკვალიფიკაციას, რომლებიც განიხილება, როგორც სავალდებულო კანონმდებლობის საფუძველი. შუამავალმა ეს თვალსაზრისი აშკარად ნათელი გახადა ცნობილი ინციდენტით, რომელშიც მან გამოხატა მოსაზრება, რომ პალმის ხეების დამტვერვა არ იყო სასარგებლო პრაქტიკა, რის შემდეგაც მან გადასინჯა საკუთარი ნათქვამი, გამომდინარე ამგვარი საკითხების შესახებ ცოდნის უკმარისობიდან და განმარტა: „მე მხოლოდ ადამიანი ვარ“. ჩვენ აქ ვხედავთ, თუ როგორ მკაფიოდ განასხვავებს თავად შუამავალი თავის, როგორც შუამავლის და როგორც ჩეულებრივი ადამიანის შესაძლებლობებს, პირად აზრსა და რელიგიურ სწავლებას, ადამიანთა მცდელობებს ჩაწვდნენ ჭეშმარიტებას და ღვთაებრივ გამოცხადებას, ამქვენიურ საკითხებს და სულიერ საკითხებს, და რას ამბობს ის, როგორც ადამიანი და რას ამბობს იგი, როგორც ღვთის წარმომადგენელი. ასეთ შემთხვევაში არსებობს როგორც ღვთიური გზავნილი, რომელიც სავალდებულოა, როგორც რელიგიური მოვალეობა, და მინიერი საკითხები, რომლებშიც ყველაზე კარგად შესაბამისი სფეროს ექსპერტები ერკვევიან.

თავი მემკვსე სუნას გადმოცემის ავტორიტეტულობა

უნდა მიეცეს თუ არა შუამავლის მიერ მოქმედებების ან განცხადების თაობაზე ცნობას თუ შეტყობინებას იგივე სამართლებრივი სტატუსი, როგორც საკუთრივ ქმედებას ან განცხადებას? შეიძლება ასეთი შეტყობინება ან კომუნიკაცია კავშირში იყოს ღვთისგან წარმომავალ სამართლებრივი მმართველობის საფუძველთან? როდესაც ჩვენ ვადასტურებთ შუამავლის სუნას ავტორიტეტულობას და მუსლიმების ვალდებულებას მიიღონ ის, ჩვენ მკაფიოდ ვაცნობიერებთ — იმისთვის, რომ მართლაც იყოს ავტორიტეტული შეტყობინება ან ცნობა შუამავლის ნათქვამის თუ ნამოქმედარის შესახებ, ის ისე უნდა იყოს წარმოდგენილი, რომ მცირე ეჭვის არ გაჩნდეს იმის თაობაზე, თუ მართლაც რა ითქვა ან რა გაკეთდა მის მიერ. მაგრამ როგორ შეიძლება, რომ შუამავლის მიმართ მორჩილება უტოლდებოდეს ღვთისადმი მორჩილებას? მიუხედავად იმისა, რომ ის მმართველი და მეთაური იყო მისთვის მინიჭებული უფლებით, ნამდვილი მმართველი და მბრძანებელი ღმერთია.

მუსლიმი მკვლევრები თანხმდებიან, რომ ჰადისის გამოყენების ვალიდურობა, რომელიც უკავშირდება შუამავლის ავტორიტეტს, რელიგიური დოქტრინის ან სამართლებრივი წესების მხარდასაჭერად, დამოკიდებულია უნარზე დამაჯერებლად იმის გადმოცემისა, რომ განსახილველი ჩანაწერი რეალურად მომდინარეობს ღმერთის შუამავლისგან, და ასევე უნარზე იმის ჩვენები-

სა, რომ განსახილველი ჩანაწერი ეჭვგარეშედ გადმოცე-
მულია შუამავლის მიერ. შუამავალთან დაკავშირებული
ნარატივების ავთენტურობის საკითხი მნიშვნელოვანი
უთანხმოების საგანი გახდა. ზოგიერთი მკვლევრის აზ-
რით, ვერცერთი მეთოდი ვერ იძლევა იმის გარანტიას,
რომ შუამავლის სიტყვების ან ქმედებების შესახებ გად-
მოცემული ნარატივი უტყუარი და სანდოა. შესაბამისად,
ეს მეთოდები ვერ ადასტურებენ შუამავლის ნათქვამსა
და ქმედებების უტყუარობას. თუმცა, ამ უთანხმოებები
არ წარმოქმნილა საკუთრივ სუნას ავტორიტეტულობას-
თან დაკავშირებით.

რაც შეეხება ექვსი მკვლევრისა და მათი სკოლების
მიდგომასა სუნასადმი, ჰანაფიტური მაზჰაბის (საღვთის-
მეტყველო-სამართლებრივი სკოლის) თვალთახედვიდან,
ჰადისს, რომელმაც ვერ მოიპოვა ფართო გავრცელება
(და ამიტომ არ იყო კლასიფიცირებული, როგორც
„მაშჰურ ან მუსთაფიდ“), აქვს მხოლოდ დროებითი,
ნაკლული ფასეულობა. როგორც ასეთი, ის არ აკონკრე-
ტებს, თუ რა არის განცხადებული ზოგადად ყურანში,
და არც იმის კვალიფიცირებას ახდენს, რასაც ამტკი-
ცებს ყურანი აბსოლუტური თვალსაზრისით. იმამ მნი-
ქი ეთანხმებოდა აბუ ჰანიფას, გარდა იმ შემთხვევებისა,
როდესაც საეჭვო ჰადისი მყარდებოდა სხვა რაღაც და-
ნამატით. მალიქი ეთანხმებოდა ჰადისებს გადმომცემთა
წყვეტილ ჯაჭვს იმ შემთხვევაში, თუ ჰადისს მოისმენდა
ისეთი ჰირისგან, ვისაც ენდობოდა და ვინც მიაჩნდა საი-
მედო წყაროდ, რომდენადაც ეს უკანასკნელი ჰასუხობ-
და მისი სიით დადგენილ სანდოობის მკაცრ კრიტერიუ-
მებს. იმამ აშ-შაფა'იმ თავისი წიგნის მთელი ნაწილი

(არ-რისპლა) მიუძღვნა „ბაზანის“ ანუ ყურანის განმარტების პროცესის ხუთ დონეს. იმამ აშ-შაფ' ოთვალისწინებდა მკაცრ პირობებს, რომლებიც უნდა შესრულებულიყო იმისათვის, რომ ცალკეული ჰადისი მისალებად ჩათვლილიყო. იმამი შაფ' ის დროს განსჯის მომხრეებსა და ჰადისის მომხრეებს შორის დებატებმა დიდი დაბნეულობა გამოიწვია იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა ყოფილიყო სუნას კონცეპტი გაგებული და გამოყენებული. ამან სათვე დაუდო ცვლილებას, რომლითაც შეწყდა სუნას გაგება მისი თავდაპირველი მნიშვნელობით. იმამი აჭმად იბნ ჰანბალი სუნას მიიჩნევდა ისლამური მოძღვრების პირველადი წყაროს, ანუ ყურანის, მეორე ნახევრად. იმამმა აჭმადმა თავის „მუსნადში“ ჩართო ნარატივები, რომლებიც გადმოცემულია მხოლოდ იმ პირების მიერ, რომლებსაც ის თვლიდა სანდოდ, პატიოსნად, ღვთისმოშიშად და სამართლიანად.

ზაიდიტური სკოლის მიხედვით, იმამ ზად იბნ ალის შემდეგ, ცალკე მდგომი ჰადისების უეჭველობა მხოლოდ დროებითი იყო. შესაბამისად, მათი გამოყენება შეიძლებოდა მხოლოდ პრაქტიკული მიზნების მისაღწევად, მაგრამ არა დოქტრინისთვის მისასადაგებლად. ზოგადად, თორმეტი იმამის ამღიარებელი შიიტები (იმამიტები) დიდწილად ეთანხმებიან შაფიტური სკოლის მიდგომას იურისპრუდენციის პრინციპებისადმი. იმამიტი შიიტები ცალკე მდგომი გადმოცემების მიღების თვალსაზრისით ორ ნაწილად იყოფიან. ადრეული იმამიტი სწავლულები უარყოფდნენ ამ გადმოცემებს, თუ ისინი გამყარებული არ იყო ისეთი უტყუარი მტკიცებულებებით, რომლებითაც დასტურდებოდა მათი წარმომავლობა

ღმერთის შუამავლისგან ან უცოდველი იმამისგან. ამას-თანავე, იმამიტი სწავლულების უმრავლესობამ სცნო ცალკე მდგომი გადმოცემები, თუმცა ზოგიერთის მიერ იმ დათემით, რომ თითოეული ნარატივი უნდა გადმოცა ორ ან მეტ გადმომცემს. იმამიტების მიერ ცალკე მდგო-მი გადმოცემების მიღება ასევე მოითხოვს, რომ გადმომ-ცემი უნდა იყოს თორმეტი იმამის ამლიარებელი შიიტი, და პირი, რომლის ავტორიტეტსაც ეყრდნობა გადმოცე-მა, ასევე უნდა იყოს იმამიტი შიიტი.

სუნას ავტორიტეტულობა და შუამავლის თანამედ-როვე თაობისა და გადმომცემთა თაობის გაღმოცემები

ჰადისების შესწავლა შედგება ორი განშტოებისა-გან - გადმოცემაზე დაფუძნებული ჰადისის მეცნიერება ('ილმ ალ-ჰადის რივაზათან') და გაგებაზე დაფუძნებული ჰადისის მეცნიერება ('ილმ ალ-ჰადის დირჩათან') - რო-მელთა მიხედვითაც შეიძლება მოხდეს მთლიანად ჰადის-ცოდნეობის კლასიფიცირება. „ილმის“ კონცეპტი ეფუძ-ნება ოთხ პრინციპს: 1) მეთოდის მკაცრად დაცვა; 2) ობიექტურობა, ან აკადემიური უმწიკვლობა; 3) დისციპ-ლინის პრინციპების და წინაპირობების შესაძლებლობები მოერგოს მიმდინარე ცვლილებებს; და 4) თვითგანახლე-ბის შესაძლებლობები. ფილოსოფოსებმა სიტყვა „ილმ“ გამოიყენეს გონებაში რაიმე ხატის ფორმირების აღსა-ნიშნად; როგორც ასეთი, ეს არის აღქმის დონე, სხვა დონეების არსებობა დაღმავალი მიმდევრობით - ვარაუ-დი (ზანნ), ეჭვი (შაქქ) და ილუზია (ვაჰმ). ‘ილმის ანტო-ნიმი არის უმეცრება (კაჰლ).

არსებობს მკაფიო განსხვავება როგორც მეთოდის, ისე ტერმინოლოგიის დონეზე, ადრეული ხანის ჰადისის მკვლევრებს, - რომლებიც წინ უსწრებდნენ ან ალ-ხატიბ ალ-ბალდადის თანამედროვენი იყვნენ - და მომ-დევნო ხანის ჰადისის მკვლევრებს შორის, რომლებიც მოღვაწეობდნენ ალ-ხატიბ ალ-ბალდადისა (463 ჰიჯრით / 1071 ა.წ.) და ალ-ჭენფიზ იბნ ჰაჯარს (852 ჰიჯრით / 1449 ა.წ.) შორის პერიოდში. თითოეული ეს ჯგუფი ჩართული იყო ჰადისების მეცნიერებებში, და მის განვი-თარებაში შეჰქონდა საკუთარი განმასხვავებელი მეთო-დები, კონცეპტები და აკადემიური პროტოკოლები. პირ-ველი ამ ჯგუფთაგან პრაქტიკული გამოყენებისკენ იხ-რებოდა. ამ ჯგუფში შედიოდნენ ჰადისების მთავარი კრიტიკოსები. მისი წარმომადგენელი სწავლულები იღებდნენ და ავრცელებდნენ ჰადისებს მხოლოდ ზეპირი ფორმით. მეორე ჯგუფმა აირჩია თეორიული მიდგომა. ამ ჯგუფის ნამოღვაწარი ნიშანდებული იყო წერილობით მასალებზე დაყრდნობით ჰადისების გადმოცემისთვის და არაპირდაპირი, ინდივიდუალური თხრობით. ამ გვი-ანდელ პერიოდში ასევე მოხდა ლოგიკური პრინციპების განვითარება, რომლებიც ბერძნული ფილოსოფიისგან მიმდინარეობდა.

ცვლილებებმა, რომლებიც განხორციელდა ჰადისე-ბის კვლევის სფეროში, გამოიწვია აშკარა დაბნეულობა იმ მეთოდებთან დაკავშირებით, რომლებსაც მისი მკვლევრები იყენებდნენ. ასეთი დაბნეულობა თანდათა-ნობით გაღრმავდა და შეეხო თითქმის ყველა პრინციპსა და საფუძველს, რომელზეც, გვიანდელი ხანის სწავლუ-ლები აფუძნებდნენ თავიანთ მოსაზრებებს. ამან გამოიწ-

ვია კითხვების გაჩენა წესების ობიექტურობისა და სანდობის, კრიტერიუმების, პირობებისა და დეფინიციების შესახებ, რომლებიც დაადგინეს გვიანდელი ხანის ჰადისის მკვლევრებმა. ისინი, ვინც მოახდინეს ამ პრინციპების ფორმულირება, უნდა ჩართულიყვნენ ინტერპრეტაციული სამუშაოს სანაქებო საქმეში, მათი მცდელობისას მნიშვნელობა მიენიჭებინათ მრავალრიცხოვანი განცხადებებისთვის, რომლებიც მათ მემკვიდრეობით მიიღეს თავიანთი წინაპრებისგან გადმომცემთა და გადმოცემათა შესახებ. მათ არ გააჩნდათ საკმარისი ინფორმაცია და ცოდნა იმ სპეციფიკური გარემოებების შესახებ, რომლებშიც მოხდა ამგვარი განცხადებების ფორმულირება; აქედან გამომდინარე, ისინი ვერ შეთანხმდნენ, თუ როგორ უნდა მომხდარიყო მათი და მათგან გამომდინარე წესებისა და პრინციპების ინტერპრეტაცია.

„უსულის“ სკოლის მეთოდის გავლენა გვიანდელი ხანის ჰადისების მკვლევრებზე

იმამი აშ-შაფი' იყო პირველი მკვლევარი, რომელიც შეეხო ისლამური იურისპრუდენციის საფუძვლების საკითხს თავის წიგნში „არ-რისპლა“ — ეს ნაშრომი ადასტურებს მის მაღალ ოსტატობას სუნას და მასთან დაკავშირებული დისციპლინების სფეროში. მიუხედავად იმისა, რომ იმამ ალ-შაფი' ძლიერ კრიტიკულად იყო განწყობილი სქოლასტიკური თეოლოგიისა და თეოლოგების მიმართ, მეთოდი, რომელიც გაითავისეს მისმა მიმდევრებმა და დაწერეს იურისპრუდენციის საფუძვლების შესახებ, სქოლასტიკური თეოლოგიის დიდ ზეგავლენას განიცდიდა. ეს იმიტომ ხდებოდა, რომ არისტო-

ტელესეულმა ლოგიკამ და ფილოსოფიამ თვალსაჩინო გავლენა მოახდინა იურისპრუდენციის სფეროზე (ფიქ-პი), მის პრინციპებზე (უსტულ ალ-ფიყჰ) და მთლიანად ისლამურ მეცნიერებებზე - მათ შორის, რა თქმა უნდა, პადისის მეცნიერებებზეც. გავლენა მოიცავდა სუსტი პადისისადმი მიდგომას მისი მიღებით ან უარყოფით გა-მომდინარე კონტექსტუალური მტკიცებულებიდან. ამას გარდა, „უსტულის“ სკოლის სწავლულებმა დაიწყეს და-თანხმება იმ დამატებებზე, რომლებიც შეიძლება განიხი-ლებოდეს, როგორც არარეგულარული (შაზზა), რადგან მათი გადმომცემები სანდოებად იყვნენ კლასიფირე-ბული

თუმცა, სანდო გადმომცემის ნებისმიერი დამატება როდი შეიძლება ჩაითვალოს ვალიდურად. ამ საკითხის კომენტირებისას, ალ-ჭაფიზ იბნ ჭავარი აღნიშნავს: პა-დისის მკვლევრები ამტკიცებენ, იმისთვის, რომ იყოს ავ-თენტური, არ შეიძლება პადისი ჩაითვალოს არარეგუ-ლარულად. „უსტულის“ სკოლის მეცნიერები კი ცნობენ დამატებებს, რომლებიც პადისის მკვლევრების მიერ შე-იძლება განიხილებოდეს, როგორც არარეგულარული. მიდგომაში ამ განსხვავების ახსნისას, ალ-ჭაფიზ იბნ ჭავარი გამოთქვამს თვალსაზრისს, რომ პადისთა სუსტი მხარეების განხილვისას, იბნ ას-სალაჰპი უფრო მეტად ეყრდნობოდა პადისის მკვლევრებიდან მომდინარე კონ-ცენტრიებს და ნაკლებად გამოხატავდა საკუთარ თვალ-საზრისს, ხოლო არარეგულარული პადისების შესახებ დისკუსიისას, ის, შეიძლება, უფრო მეტ წონას ანიჭებდა იურისტებისა და „უსტულის“ სკოლის სწავლულების შეხე-დულებებს.

გადმომცემის შეფასება: ობიექტურობა და სუბიექტურობა

დისციპლინა, სახელად „’ილმ არ-რიჯაბლ“ (სიტყვა-სიტყვით, „ადამიანების შემსწავლელი მეცნიერება“), ეხება ჰადისის გადმომცემებთან დაკავშირებულ გარემოებებსა და მათ დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს, იმის გადასაწყვეტად, მისაღებია თუ უარსაყოფი მათი ჩანაწერები. ბევრი ფაქტორისგან გამომდინარე, რომლებიც ზემოქმედებენ ნარატივის მიღებაზე ან უარყოფაზე, ამ მეცნიერებაში განშტოებების სახით არსებობს მრავალი ქვედისციპლინა. ეს ქვედისციპლინები მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა დაბადებათა და გარდაცვალებათა ისტორია; სახელები, მეტსახელები და წოდებები; გენეალოგიები; ქვეყნები და მოგზაურობათა ჩანაწერები; შეიხები და მათი მოსწავლეები; გადმომცემის შეფასება; გადმომცემთა დიფერენცირების გზების დადგენა, მაგალითად, როდესაც სახელები ერთნაირია, მაგრამ განსხვავებულ ადამიანებს ეხება, სახელები ხმოვანთა გარეშეა ჩანერილი და, შესაბამისად, შეიძლება არასწორად იყოს წაკითხული ან მათი არევა მოხდეს და ა.შ.; სუსტი და საიმედო გადმომცემების შედარებითი იდენტიფიკაცია და სხვა. ძირითადი აქცენტი იყო გაკეთებული იმაზე, უნდა მიღებული ყოფილიყო თუ უარყოფილი ამა თუ იმ გადმომცემის ნარატივი.

ადამიანთა შემსწავლელი მეცნიერება (’ილმ არ-რიჯაბლ) ეხება გადმომცემებს (კაცებსა და ქალებს), კერძოდ, მათ ხასიათს; დროს, რომელშიც ისინი ცხოვრობდნენ; მათ მოგზაურობებსა და მათი ცხოვრების ხანგრძლივობას. ადრეული ხანის სწავლულები, ვინც იკ-

ვლევდა გადმომცემთა მახასიათებლებს, განხილვის გარეშე ტოვებდნენ მათ, ვისაც ისინი უწოდებდნენ შუამავლის თანამოაზრებს. ჰადისის მკვლევრები შუამავლის თანამოაზრეს (საჭაბა) შემდეგნაირად განსაზღვრავდნენ: „ნებისმიერი, ვინც შეხვდა შუამავალს, ირნმუნა მისი და გარდაიცვალა, როგორც მუსლიმი“. თუმცა, „უსტლის“ სკოლის მკვლევრები სხვადასხვაგვარად განმარტავდნენ, თუ რას ნიშნავდა ტერმინი ‘თანამოაზრე’. მაგალითად, ზოგიერთი მას განსაზღვრავდა, როგორც ნებისმიერს, ვინც იხილა შუამავალი, მის გვერდით ყოფნის გარეშე მნიშვნელოვანი დროის მანძილზე და მისი უფლებამოსილების შესახებ გადმოცემის შექმნის გარეშე. უფრო მეტიც - მიუხედავად თანამოაზრის განსაზღვრის განსხვავებული მეთოდებისა, ყველა თანამოაზრემ ერთნაირად როდი იცოდა ის, რაც თქვა ან გააკეთა შუამავალმა.

‘ილმ არ-რიჯალში გამოყენებული ტერმინოლოგია

გადმომცემთა მახასიათებლების შეფასების სისტემური მეთოდი არ არსებობდა. ჰადისების ადრეული ხანის კრიტიკოსები ხშირად სხვადასხვაგვარად აფასებდნენ კონკრეტულ გადმომცემს. პრობლემები მაშინ ჩნდება, როდესაც ჰადისის კრიტიკოსი წარმოადგენს გადმომცემის შესახებ თავის პირად შეფასებას; თუმცა ის, რასაც ამბობს გადმომცემის შესახებ, განსხვავდება სხვადასხვა სიტუაციებისა თუ დროის მიხედვით. რეალურად, შეიძლება სიტუაციების მოძიებაც კი, რომლებშიც კრიტიკოსი გამოხატავს ორ სხვადასხვა აზრს ერთსა და იმავე ჰადისთან მიმართებით. კიდევ ერთი საკითხი ის არის, რომ გადმომცემი შეიძლება მიჩნეული

იყოს არასანდო ნიშან-თვისებების მატარებლად, თუ იგი დახასიათებულია ისეთი პირის მიერ, რომლის შეფასებაც არ იქნებოდა სანდო გამომდინარე მისი საერთო რეპუტაციიდან, ღირსებიდან და ცოდნიდან. ამასთანავე, ერთი კრიტიკოსის მიერ გადმომცემთა შესწავლის მეთოდი განსხვავდებოდა სხვა კრიტიკოსისაგან. ამ სირთულის საჩვენებლად, ერთხელ ჯავახი იბნ შაჰბაჰმა ჰკითხა დაჭრა იბნ მაჟნის: „იცით რომელიმე მემკვიდრე, რომელმაც ისევე მოიძია და აირჩია გადმომცემები, როგორც ეს გააკეთა იბნ სირინმა?“ „არა“, უპასუხა მან თავის გაქნევით.

ხარვეზები გადმომცემთა შეფასების მეთოდოლოგიაში

არსებობს არაერთი ხარვეზი გადმომცემთა შეფასების მეთოდოლოგიაში. პირველი არის გაყალბება (ათ-თადლის) და გამყალბებლები (ალ-მუდალლისუნ). ეს ხდება „დალლასას“ მეშვეობით, რაც გულისხმობს სიცრუის გავრცელებაში მონაწილეობას ნაკლისა და ბრალეულობის დაფარვის საშუალებით. ჰადისების შესწავლაში ეს ზმნა აღნიშნავს მთხოვნელის მიერ ნაკლის ან ბრალეულობის დაფარვას მსმენელის არასწორი გზით ნაყვანის მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ ჰადისების გაყალბების პრაქტიკა ზოგადად საგანგაშოდ ფართოდ იყო გავრცელებული მთხოვნელთა შორის, გადმომცემთა შეფასებების შესახებ დაწერილი წიგნები არ შეიცავს ასზე მეტ ასეთ ჰადისების გამყალბებლის აღწერილობას. რთული იყო გაყალბებული ჰადისების აღმოჩენა იმ ინ-

დივიდებს შორისაც კი, რომლებიც ერთმანეთის თანა-
მედროვეები იყვნენ.

მეორე არის ტყუილი, რასაც მივყავართ არასანდო,
ყალბი ჰადისების რაოდენობის ზრდისკენ. მესამე არის
ბუნდოვანება გადმომცემის ვინაობასთან დაკავშირებით.
თუ ჩვენ ამ ფენომენს დავუბრუნდებით უკან დროში,
დავინახავთ, რომ ჰადისის მკვლევრები იმ შემთხვევაში
თვლიან ჰადისს სუსტად, თუ მისი გადმომცემების ჯაჭ-
ვი შეიცავს მთხრობელს, რომლის ვინაობაც ბუნდოვა-
ნია. თუმცა, კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც
წყდებოდა, იყო თუ არა გადმომცემის ვინაობა დადგენე-
ლი, განსხვავდებოდა დროისა და ადგილის მიხედვით.
მეოთხე არის პროვინციალიზმი, რაც წარმოადგენს ერ-
თგვარ ცრურწმენას ან ფანატიზმს. ნდობა ზოგიერთი
გადმომცემისადმი მცირე იყო. მეხუთე არის სენტიმენ-
ტალურობა, რასაც არაფერი აქვს საერთო ცოდნასთან.
მეექვე იმიტაციაა, როდესაც ზოგიერთი ჰადისის კრი-
ტიკოსი, რომლებმაც არ იცნობდნენ გადმომცემთა მოღ-
ვანეობის გარემოებებს და მათ დამახასიათებელ თვისე-
ბებს, უბრალოდ იმეორებდნენ სხვის აზრებს და ასე ახ-
დენდნენ გადმომცემლების შეფასებას. მეშვიდე არის იუ-
რიდიული და სქოლასტიკური სექტარიანიზმი, სადაც
მოსაზრებებს შორის განსხვავება მოქმედებდა სწავ-
ლულთა მიერ კონკრეტული ჰადისების გადმომცემთა
შეფასებაზე. მერვე მოიცავს თაღლითურ მტკიცებებს
ჰადისის გადმომცემთა მხარდასაჭერად ან მათ წინააღ-
მდეგ, გამომდინარე პირადი დამოკიდებულებიდან.

გადმომცემთა მეხსიერება

ჰადისის მკვლევარები მეხსიერებას (დაბტ) ყოფენ ორ ტიპად. პირველი არის „დაბტ ას-სადრ“, სიტყვა-სიტყვით „გულმკერდის შენახვა“, რომელიც გულის-ხმობს დამახსოვრებას - დაცვას - იმისა, რაც ინახება გონებაში ან გულში, და მეორე არის „დაბტ ალ-ქითაბ“, რაც სიტყვა-სიტყვით ნიშნავს „წიგნში შენახვას“, რაც გულისხმობს მონათხრობების დამახსოვრებასა და შე-ნახვას, რომლებიც წერილობითი ფორმით არსებობს. რაც შეეხება ზეპირ გადმოცემებს, ჰადისის შემგროვებ-ლები აცნობიერებდნენ, რომ მათი მასალა ზოგ შემთხვე-ვაში შეიცავდა შეცდომებს. თუ გადმომცემს აქვს მეხსი-ერების პრობლემა, არსებობს უთანხმოება იმის შესახებ, მისაღებია თუ არა მისი ნარატივი. შესაბამისად, ზოგი-ერთი იღებს მას, ზოგი კი — უარყოფს. ერთ ჰადისში, რომელიც ამ კატეგორიაშია მოქცეული, ნათქვამია: „თუ ქალი ქორწინდება მეურვის თანხმობის გარეშე, ქორწი-ნება გაუქმდება და გაბათილდება“. ზოგიერთი ჰადისი გადმოცემული იყო პერეფრაზირებით, სადაც ზოგიერთი სიტყვა შეცვლილია სინონიმური ტერმინებით. ჰადისის სწავლულები თანხმდებიან, რომ ჩანაწერების უმრავლე-სობა გადმოცემულია პერეფრაზირებით. ჩანერილი გად-მოცემაც შეიძლებოდა დაზიანებულიყო დამატების, წაშ-ლის, ან სხვა ცვლილებების განხორციელების შედეგად. რეალურად, ავტორის ნათესავები, ახლობლები და მოს-წავლეები ხშირად აყალბებდნენ მათ წიგნებს. საკმაოდ რთულია ამ სახის შეცდომების გამოვლენა.

**„ისნადის“ კრიტიკა „მათნის“ კრიტიკის წინააღმდეგ
(კრიტიკიზმი?)**

უკვე დიდი ხანია, რაც ჩვენ ჰადისის ავთენტურობას აღარ ვსაზღვრავთ მისი შინაარსის ყურანთან შედარების საფუძველზე. თუმცა, სწორედ ეს არის შედარების ის სახე, რომელშიც ჩართული იყვნენ შუამავლის კომპანიონები. ამის ნაცვლად, ჰადისის კრიტიკის მეთოდი ეყრდნობა გადმომცემთა ჯაჭვისა და მათი პიროვნული ნიშან-თვისებების შესწავლას. ამ დროს კი, ყველაზე მეტი, რისი მიღებაც შეგვიძლია ამ მეთოდიდან - გადმომცემებისა და მათი ჩანაწერების პირველადი, არასრული შეფასებაა. ყოყმანი იმის გააზრების თაობაზე, რომ არამარტო ჰადისების და სხვა ისტორიული გადმომცემების თუ ჩანაწერების, მაგრამ ასევე თვალსაზრისების, იდეებისა და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციების შეფასება შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს ყურანს, უბრალოდ იმ მენტალური ჩიხის დასტურია, რომელშიც მუსლიმები აღმოჩნდნენ. მართლაც, სუნა იქცა „იღმ არ-რიჯაბის“, გადმომცემთა შეფასების მეცნიერების ტყვედ.

მე არ მოვუწოდებ ჩვენამდე მოღწეული ჰადისების კრებულების უარყოფისკენ. პრობლემური საკითხი ისაა, რომ თუ ნებისმიერ წიგნს ყურანთან შესადარად განვიხილავთ, ეს იქნება ჩვენი იმ უნარის უკმარისობის მაჩვენებელი, გავარკვიოთ, თუ რა ნიშნავს ყურანისთვის უპირობოდ ავთენტურობას და რა ნიშნავს ისტორიული წყაროებისთვის უპირობოდ ავთენტურობას. ყურანის ავთენტურობა თავად მისგანვე მომდინარეობს და არა

მათგან, ვინც ის გადმოსცა. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, რომ ჩვენ კრიტიკულად მივუდგეთ არა მხოლოდ ჰადისის გადმომცემთა ჯაჭვს (ისნადი), არამედ მის ტექსტისაც (მათნ). ჰადისის ტექსტის კრიტიკის სხვადასხვა სტანდარტების შემსწავლელმა მეცნიერებმა წარმოადგინეს ცხრამეტი ძირითადი კრიტიკიუმის ჩამონათვალი, რომელთა დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, ჰადისი უარყოფილი უნდა იყოს. ეს კრიტიკიუმებია:

1. არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ყურანის მკაფიო მოწოდებას და სრულად ავთენტურ სუნას, ან რელიგიის ძირებულ ბურჯებს;
2. უნდა შეესატყვისებოდეს მგრძნობელობით გამოცდილებას და იმას, რაც ვიცით აღქმული სამყაროს შესახებ;
3. არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს არსებულ სამეცნიერო ცოდნას ან ბუნების კანონებს.
4. ის არ უნდა იყოს ალოგიკური, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს უდავო მტკიცებულებებს ან არსებულ გამოცდილებას;
5. ის არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს არსებულ სამეცნიერო ცოდნას მედიცინის, ასტრონომიის და ა.შ. სფეროებში;
6. არ უნდა იყოს ნიშანდებული სუსტი ლინგვისტური სტილით, რომელიც არ ესადაგება შუამავლის მიერ დამკვიდრებულ მჭერმეტყველების სტანდარტებს. იგი ასევე მოკლებული უნდა იყოს ტერმინებს, რომლებიც არ გამოიყენებოდა შუამავლის სიცოცხლის განმავლობაში;
7. არ უნდა შეუწყოს ხელი ისლამური სამართლის შეუსაბამო ამორალურ ქცევას;
8. არ უნდა შეიცავდეს ცრურწმენას ან უაზრობას;
9. არ უნდა მოუწოდებდეს კონკრეტული აზროვნების სკოლის, სექტისა თუ ტომისადმი ერთგულებისკენ;

10. არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს უდავო ისტორიულ ფაქტებსა და მოვლენებს, ან არქეოლოგიურ მონაცემებს, რომლებიც აღიარებულია სფეროს ექსპერტების მიერ ამ მოვლენების რეალობის და მათი დროის გადამოწმებისთვის.
11. არ უნდა გაითვალისწინოს მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც საჯაროდ იყო დამოწმებული მხოლოდ ერთი ან ორი ინდივიდის მიერ;
12. არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ისლამური დოქტრინის ფუძემდებლურ შემადგენელს ღვთაებრივი ატრიბუტების შესახებ — ისინი, რომლებიც ღვთაებრივად უნდა იყოს დამტკიცებული; ისინი, რომლებიც არ შეიძლება ღვთაებრივად დამტკიცდეს; და ისინი, რომლებიც შესაბამისად, ის არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ფუნდამენტურ ისლამურ დოქტრინას იმის შესახებ, თუ რა უნდა ითქვას, რა არ უნდა ითქვას და რისი თქმა იქნება გონივრული ღვთის პატივდებული შუამავლების შესახებ.
13. ის არ უნდა იძლეოდეს უზარმაზარი ჯილდოს დაპირებას ზოგიერთი ტრივიალური აქტისათვის, ასევე არ უნდა აწესებდეს მკაცრ სასჯელს მცირე გადაცდომისთვის;
14. გადმომცემი არ უნდა ესწრაფვოდეს პირადი სარგებლის მიღებას განსახილველი საკითხისგან და ასევე არ უნდა განიცდიდეს გარე ზეგავლენას.
15. არ უნდა ქადაგებდეს გარდასული რელიგიების ან ცივილიზაციისგან მიღებული დოქტრინული ან ფილოსოფიური სწავლებების რწმენას;
16. არ უნდა არსებობდეს ხარვეზები ან სერიოზული სისუსტე ჰადისთა ტექსტში ან გადმომცემთა ჯაჭვში;
17. არ უნდა იყოს უარყოფილი შუამავლის გამორჩეული კომპანიონების მიერ, ან მათ შორის დავის საგანი;

18. არ უნდა მოხდეს ისე, რომ ნარატივის კონკრეტული გადმომცემისთვის მიწერის შემდეგ, ამ უკანასკნელმა უარყოს ეს.
19. ის უნდა გადაიცეს ზუსტად იმ სიტყვებით, როგორც ორიგინალშია, გამოტოვებების ან დამატებების გარეშე. მე მოვუწოდებ ჩემს კოლეგებს, ასევე ისლამური სამართლისა და წერილობითი ტრადიციის ყველა შემსწავლელს, რომ ისწავლონ და ასწავლონ ეს მეთოდოლოგია, გაამდიდრონ და დახვეწონ იგი, და, ამდენად, არარად აქციონ მათი ძალისხმევა, ვინც მოგვიწოდებს, დავეყრდნოთ „მხოლოდ ყურანს“, მაგრამ სინამდვილეში ყურანის მხარდამჭერისგან რეალურად შორს დგანან. თანამედროვე, დეკონსტრუქციონისტული აზროვნების პირისპირ აღმოჩენილმა ჰადისის მკვლევრებმა უნდა ხელახლა განიხილონ და შეცვალონ მცდარი ცნება, თითქოსდა „ჰადისის მეცნიერებები“ თავისთავად გაცილებით მნიშვნელოვანი სფეროა, ვიდრე მხოლოდ აკადემიური კვლევების ფართო სფეროს ნაწილი. ჰადისის მეცნიერებების მიდგომას უნდა ჰქონდეს ინტეგრირებული ხასიათი, რომელიც გულდასმით განიხილავს თითოეული ნარატივის „ისნადს“ და „მათნს“ სამართლებრივი საკითხების უფრო ფართო კონტექსტში. შუამავლის სუნა უწყვეტად უნდა იყოს დაკავშირებული ყურანთან ისე, რომ არ დაიშვებოდეს არანაირი წინააღმდეგობა და კონფლიქტი მათ შორის. ეს არსებითია იმისთვის, რომ შემუშავდეს სწორი და ყველაზე ნაყოფიერი შედეგების მომტანი მიდგომა დღევანდელ მსოფლიოში არსებული სოციალური, ეკონომიკური, ინტელექტუალური და სულიერი გამოწვევების მიმართ, რომელთაც აწყდებიან მუსლიმები ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ავტორი

ტაჟა ჯაბირ ალ-ალვანი (1935-2016) იყო ალ-აზჰარის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, საერთაშორისო დონეზე აღიარებული მეცნიერი და ექსპერტი ისლამის სამართლებრივი თეორიის, იურისპრუდენციისა (ფიკი), და „უსულ ალ-ფიკის“ სფეროებში. იგი მრავალი ნაშრომის ავტორია, იყო OIC-ის (ისლამური კონფერენციის ორგანიზაცია) ისლამური ფიკის აკადემიის წევრი და კორდობას უნივერსიტეტის პრეზიდენტი აშ-ბერნში, ვირჯინია, შეერთებული შტატები.

შენიშვნები

1. თუ დაწერილია მთავრული ასოებით და დახრის გარეშე, სიტყვა სუნა უკავშირდება ჰადისის მთლიან კორპუსს, რომელიც შეეხება შუამავლის სიტყვებსა და მოქმედებებს. ისინი მიიჩნევა მუსლიმებისთვის ნიმუშად, რომელთაც უნდა მიბაძონ თავიანთ პრაქტიკულ ცხოვრებაში. ხოლო ჩვეულებრივი ასოებით და დახრის გარეშე დაწერის შემთხვევაში, სიტყვა სუნა აღნიშნავს შუამავლის მაგალითს კონკრეტულ სიტუაციაში. მაგალითად, ჭამის დროს მარჯვენა და არა მარცხენა ხელით ჭამა მიჩნეულია როგორც სუნა. დაბოლოს, ჩვეულებრივი ასოებით და დახრილად დაწერის შემთხვევაში, სიტყვა სუნა გამოიყენება არაბული სიტყვის სახით ან ამ სიტყვასთან დაკავშირებული კონცეპტის გამოსახატავად.

2. კონცეპტს (მაფჰურ) და ტექნიკურ ტერმინის (მუსტალაჭ) შორის განსხვავება რთულად დასანახია, თუმცა მნიშვნელოვანი. კონცეპტი ასოცირდება დეფინიციასთან, რომლის გამოხატვა სხვა-დასხვა გზით არის შესაძლებელი, ან რაც ზოგჯერ ცნობილია, როგორც პროცედურული დეფინიცია. ტექნიკური ტერმინი კი, საპირისპიროდ, ზოგადად ასოცირებულია უფრო მყარ დეფინიციასთან, რომელიც შედგება ურთიერთკავშირში მყოფი რიგი განსხვავებული სიტყვებისგან.



გამომცემლობა „უნივერსალი”

თბილისი, 0186, ა. პოლიტეკნიკური №4, ტელ: 5(99) 17 22 30, 5(99) 33 52 02

E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ასი-ზენების ადაპტირებული სერია ინსტიტუტის ძირითადი პუბლიკაციების ღირებული კოლექციაა, რომელიც შემოკლებული ფორმით არის დაწერილი, რათა მკითხველს სრული ვერსიის შინაარსის შესახებ ძირითადი წარმოდგენა შეუქმნას.

„ბალანსის აღდგენა: ყურანის უფლებამოსილება და სუნას სტატუსი“, ნათელს ჰუნენს სუნას, ანუ წმინდა მუჰამად შუამავლის (ს.ა.ს), გამონათქვამების და მოქმედებების და წმინდა ყურანს შორის კავშირს. ეს ურთიერთობა აღწერილია სხვადასხვა გზით, რაც ქმნის ცოდნისა და გამოცდილების მრავალფეროვან ფორმებს, რის საფუძველზეც სწავლულები იკვლევენ სუნას. შესაბამისად, აზროვნების “ისლამური სკოლები”, როგორც იურიდიული, ასევე ფილოსოფიური, სუნას ნარატივს გადმოსცემდნენ განსხვავებული მიდგომით, რომელიც ეფუძნებოდა სწავლულების კონკრეტული ცხოვრების კონტექსტს. იურიდიული, თეოლოგიური ან ფილოსოფიური პრინციპების მიხედვით, განსხვავდება მოცემულ მთხრობელთა კლასიფიკაცია. შესაბამისად, სუნას გადმოცემის სანდობა შეიძლება იყოს სარწმუნო ან არასანდო. სხვადასხვა ჰადისის გაცნობის შემდეგ შესაძლებელია მიუღებელი აღმოჩნდეს რომელიმე გადმომცემის სანდობა. ასევე შესაძლებელია ჰადისის შინაარსის კრიტიკული შეფასების კრიტერიუმი იყოს მისაღები ან იგნორირებული.



International Institute
of Islamic Thought

ISBN 978-9941-33-283-8

9 789941 332838